სპორტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 10 ოქტომბერი 1995 № 65 (203) ფასი 30 თეთრი

საქართველო – ბულგარეთი

ჯგუფის ორი გამარჯვებული უკვე ცნობილია, ის კი არა და, თუ სატურნირო მდგომარეობას შევაფასებთ, მესამე ადგილი დარჩენილი ორი თამაშის წაგების შემთხვევაშიც ლამის დაბეგებული გვაქვს, მაგრამ, მესამე ადგილიც არის და მესამეც – ბულგარეთთან და მოლდოვასთან წარმატება ჩვენთვის ღირსების საქმეა. უეჭველია, ალექსანდრე ჩივაძეც ასე ფიქრობს და თანაც გულში მომავალი მსოფლიო ჩემპიონატისთვის სამზადისი ამოუჭრია!

ჩვენები დილომში 6 ოქტომბრიდან ემზადებიან. საბოლოოდ გაირკვა, რომ ვერ ითამაშებს თემურ ქეცბაია. ბულგარელებმა კი წუხელ უძლიერესი შემადგენლობა გვასტუმრეს

ბულგარეთი	8	7	1	0	22-5	22
გერმანია	8	6	1	1	22-8	19
საქართველო	8	4	0	4	10-9	12
ალბანეთი	9	2	1	6	9-15	7
უელსი	8	2	1	5	7-16	7
მოლდოვა	9	2	0	7	8-25	6

ხვალ: საქართველო — ბულგარეთი, უელსი — გერმანია

15 ნოემბერს: მოლდოვა — საქართველო, გერმანია — ბულგარეთი, ალბანეთი — უელსი

გია ახალაძის ფოტოები



ბულგარეთ – საქართველოს ზუსტად ერთიწლისწინანდელი მატჩის ამბები ყველას კარგად გვახსოვს: თავიდან ქართველებმა ტოლი არ დაგუდეთ მეტოქეს, ქეცბაიას ორი საგოლე მომენტიც გაუცუდდა, მეორე ტაიმში კი მოედანზე ემილ კოსტადინოვი გამოვიდა და ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინა...

ავთანდილ გურასაშვილის ფოტოები



დაუმარცხებელი არავინაა

თუ ზღაპრებს არ მოვატყუებინებთ თავს და ვითარებას რეალურად შევაფასებთ, ჩვენი ეროვნული ნაკრებისთვის ინგლისისკენ მიმავალი ყველა გზა მოჭრილია. მართალია, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი, გულის სიღრმეში, ნისლიან ალბიონზე მოხვედრის ფიქრით რომ დავინყეთ და ამ ფიქრის ამარად დავრჩით, ამით არ მთავრდება — ნინ კიდევ მრავალი საინტერესო თამაში მოგველის. ერთ-ერთი მათგანი ხვალ გაიმართება ბულგარელებთან. ჩვენი ნაკრებიც ამ მიზეზით შეიკრება დიღმის ბაზაზე. 6 ოქტომბერს, საღამოს ხუთ საათზე ნაკრებმა პირველი ვარჯიშიც ჩაატარა. ადრინდელისგან განსხვავებით, ორიოდ საათის წინ შეკრებილი, უცხოეთიდან დაბრუნებული და დაქანცული ბიჭები მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრე ჩივაძემ დიდად არ დატვირთა, უფრო ტექნიკური და ტაქტიკური ილეთების დახვეწაზე წაამუშავა. ბოლოს კი, ჩვეულებისამებრ, ნახევარ მოედანზე ორკარა ათამაშა, რომელშიც მონაწილეობა თავადაც მიიღო. საბოლოოდ, იმ მხარემ გაიმარჯვა, რომელშიც ჩივაძე თამაშობდა. ვარჯიში დამთავრდა თუ არა, სახელდახელოდ გასასაუბრებლად ფეხბურთელებს მივაშურეთ...

მურთაზ შელია

— რუსეთის ჩემპიონატის ფინიშამდე სამი ტური დარჩა, როგორ გგონია, შეძლებთ ლიდერობის შენარჩუნებას?

— აბა, რა ვითხრა, მთელი რუსეთი ჩვენს წინააღმდეგ შეიკრა და ყველაფერს აკეთებენ საიმისოდ, რომ მოსკოვის „ლოკომოტივი“ ჩემპიონი გახადონ, მაგრამ, ვფიქრობ, არაფერი გამოუვათ, პირველობისთვის ძალებს არ დავზოგავთ.

— ლივერპულთან“ ორი თამაშის შემდეგ საკმაოდ მაღალი შეფასება დაიმსახურე, რაიმე წინადადებები ხომ არ ყოფილა?

— მართალია, კარგად ვითამაშე, მაგრამ კონკრეტულად არავინ მოსულა და არ დამლაპარაკებია.

— კოლიმორი ინგლისში ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელია, შენ კი თამაშის საშუალება არ მიეცი...

— მის წინააღმდეგ თამაში წამოვიდა, საიმედოდ ჩავკეტე. ბოლოს, როცა ვერაფერი შემიხერხა, სახეში მუშტი მითავაზა და ერთი კვირა ჩალურჯებული თვალით დავდიოდი. ისე, ძლიერი და სწრაფი ფეხბურთელი ჩანს.

— თამაშის სტილიდან გამომდინარე, შენთვის ბრიტანეთი ზედგამოჭრილი ხომ არ იქნება?

— ჩემთვის სულერთია. მთავარია, ვითამაშო, მწვრთნელის დავალება შევასრულო, საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ვიზრუნო და თუ საშუალება მომეცემა, თავად შევუტიო. ისე, რატომაც არა, ბრიტანეთიც შეიძლება, ყაბულს ვიქნები.

— ესე იგი, უცხოეთში წასვლაზე ფიქრობ.

— ვნახოთ, რა იქნება. ჯერ-ჯერობით ვლადიკავკაზში ვარ, სეზონის დამთავრებას დაველოდები.

— ბულგარელების დამარცხება თუა შესაძლებელი?

— ყველას დამარცხება შეიძლება და გამონაკლისი არც ესენი არიან. რა თქმა უნდა, ბედსაც დიდი მნიშვნელობა აქვს და თუ გაგვიმართლა, გავიმარჯვებთ კიდეც.

— ცხადაძის არყოფნაში დაცვის ცენტრში ვისთან გირჩევნია თამაში?

— არა აქვს მნიშვნელობა, ვისთან ვითამაშებ. მთავარია, მეტოქის შეტევების მოგერიება შევძლოთ.

მიხეილ ყაველაშვილი

— „ლივერპულთან“ განმეორებით მატჩში არ გითამაშია, ნუთუ გაზაევი აღარ გენდო?

— თავიდან ასე იყო დაგეგმილი — უნდა მეთამაშა, მაგრამ გაზაევმა მერე სულეიმანოვი არჩია, ვერ გავიგე, რატომ. ისე, მწყობრში ვიყავი.

— თამაშისას ბევრი ხელსაყრელი მომენტი გიცუდდება. შენი აზრით, რისი ბრალია?

— თავიდან ფიზიკურად მოვიკოჭლებდი, მერე კი დავიწყე გატანა, მაგრამ ისევ აირია ყველაფერი. თითქმის თვენახევარი არ გამიტანია. ამას ნერვიულობაც დაერთო. როცა მომენტი ჩამივარდებოდა, ვაითუ, ვერ გავიტანო-მეთქი და, დარტყმა მიცუდდებოდა. „ტექსტილშჩიკთან“ ნავსი გავტეხე და გამარჯვების გოლი გავიტანე, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ დამაგვირგვინებელ ფაზაზე მეტი უნდა ვიმუშაო.

— სხვათა შორის, „ტექსტილშჩიკთან“ მოგებულ მატჩზე დიდი აურზაურია ატეხილი. რა მოხდა სინამდვილეში?

— არაფერი. აუცილებლად უნდა მოგვეგო. მოვინდომეთ, ვიბრძოლეთ და მოვიგეთ კიდეც. ვის რა აქვს სალაპარაკო, მთელი რუსეთი ჩვენს წინააღმდეგაა, მაგრამ ვეცდებით პირში ჩალა გამოვავლოთ. სამი თამაშიდან ორი შინ და ერთი სტუმრად გვაქვს. თუ ცეესკასთან ფრედ ვითამაშეთ, ჩემპიონები ვართ.

— უცხოეთში წასვლაზე ხომ არ ფიქრობ?

— კონტრაქტი ნოემბრის ბოლომდე მაქვს. ყველაფერი ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ გაირკვევა.

— ბულგარეთის ნაკრებზე რას იტყვი?

— ძალიან ძლიერები არიან, მათთან თამაში დიდი სკოლაა, მაგრამ თუ ჩვენ მაქსიმალურად გამოვიყენებთ ჩვენს დადებით მხარეებს და თავდაუზოგავად ვითამაშებთ, გამარჯვებაც შეიძლება.

გიორგი კილასონია

— ამჟამად რომელ ადგილზეა სანკტ-პეტერბურგის „ლოკომოტივი“?

— მეექვსეზე ვართ. ზედიზედ ორი მატჩი მოვიგეთ, თანაც დიდი ანგარიშით 5:1 და 7:0. ამ თამაშებში მე და ვარლამმა სამ-სამი გოლი გავიტანეთ.

— სატურნირო ცხრილში წინ წაწევის შანსი თუ გაქვთ?

— როგორ არა. ახლა ორი მატჩი გველის სტუმრად — ერთი ლიგის აუტსაიდერთან, მეორე — ჩვენს მდევართან. თუ ორივეში გამარჯვება მოვახერხეთ, მეოთხე ადგილზე გადავინაცვლებთ.

— მომავალ თამაშზე რას იტყვი, შეიძლება მოგება?

— ძლიერი მეტოქე გვყავს, ძნელი თამაში იქნება. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თავიდან როგორ ავიწყობით. დაუმარცხებელი გუნდი, რა თქმა უნდა, არ არსებობს. უმთავრესი შემადგენლობით რომ ვთამაშობდეთ, ამოცანა გაგვიიოლდებოდა, მაგრამ... მაინც ვეცდებით, წარმატებით ვითამაშოთ.

აკაკი დევაძე

— „როსტსელმაშის“ საქმეები როგორ მიდის, დარჩით თუ...

— საბოლოოდ გაირკვა — დავრჩით უმაღლეს ლიგაში. ახლა მომავალ სეზონზე ფიქრობენ. როსტოვში სერიოზული გუნდის ჩამოყალიბებას აპირებენ და ამისთვის არაფერს დაიშურებენ.

— „ტორპედოსთან“ სტუმრად მატჩში კარი დატოვე და ბოლო წუთზე გოლის გასატანად გავარდი...

— აბა, რა მექნა, ვაგებდით. კარი, ცხადია, თვითნებურად არ დამიტოვებია, მწვრთნელებმა მომცეს უფლება და მეც რას ვკარგავდი. თუმცა, ჩემმა ჩართვამ წაგებას მაინც ვერ გადაგვარჩინა.

— ისევ „როსტსელმაშში“ დარჩები?

— ერთი სეზონი კიდევ ვითამაშებ, სანამ კონტრაქტის ვადა ამოიწურება, მერე კი ვნახოთ...

— ბულგარელების ხომ არ გეშინია?

— ძლიერი გუნდია, მაგრამ შიში გამორიცხულია. ალბათ გემახსოვრება, იქ პირველ ნახევარში რა დღე ვყარეთ. დანარჩენს თამაშის შემდეგ მოგახსენებ. აბა, ჯერ რა ვიცი, რა იქნება.

მამუკა კვანტალიანი

ვარჯიშზე გიორგი ჩიხრაძე მიხეილ ყაველაშვილს იჭერდა

„შახტიორში“ მარტო ვარ

. რობორც ცნობილია, გიორგი ჩიხრაძე ახალ გუნდში გადავიდა — უმაღლესი ჯგუფიდან გავარდნილი შეპეტოვკის „ტემპის“ ნაცვლად ახლა უკრაინელთა შარშანდელი ჩემპიონატის მესამე ჰრიზიორს დონეცკის „შახტიორს“ უმაგრებს მარცხენა ფლანგს. თუმცა, შეპეტოვკიდან დონეცკს იმ იმედით მიდიოდა, რომ იქ მაღალი ადგილებისთვის იბრძოლებდა, მაგრამ „შახტიორი“ ამჟამად უკრაინის ჩემპიონატში მე-14 ადგილზეა...

— რატომ აღმოჩნდა „შახტიორი“ ასეთ რთულ მდგომარეობაში?

— შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ მთავარი მიზეზი გუნდის გაძლიერების მცდელობა გახლდათ. გაძლიერების ნაცვლად პირიქით მოხდა: გუნდის ხელმძღვანელობამ ბევრი ახალი ფეხბურთელი მიიწვია, დიდძალი თანხაც დახარჯა, მაგრამ შედეგი ჯერ არ ჩანს. პირველ რიგში იმიტომ, რომ ყველა მოწვეულმა არ გაამართლა. არ მინდა კონკრეტულად დავასახელო ვინმე, ეს მაინც მწვრთნელის საქმეა — ერთი რამ ფაქტია — მოწვეულმა ახალგაზრდებმა ვერ გაამართლეს იმედები.

— მათ შორის ქართველებიც ხომ არ არიან?

— ამჟამად „შახტიორში“ მარტო ვარ: გაბისკირია — კრივი როგის „კრივბასია“, ჯუღელი — „ზარია-მალსში“.

— რატომ გადავიდნენ?

— ახალ მწვრთნელთან — რუდაკოვთან კონფლიქტი მოუვიდათ და თვითონ გადაწყვიტეს წასვლა. რუდაკოვი გაბისკირიას საყვედურობდა, ინდივიდუალურად ბევრს მოქმედებო, ჯუღელს კი ტრავმა ჰქონდა, ბოლო ერთი თვე ვერც ითამაშა, თანაც ახლახან მამა გარდაეცვალა და დონეცკში დაბრუნებულს შემადგენლობაში აღარ აყენებდნენ. ლუგანსკის გუნდში გადასულმა პირველივე შეხვედრაში გოლი გაიტანა.

— დღეს როგორი ვითარებაა გუნდში?

— მიუხედავად იმისა, რომ არც ახლა ვწყვეტთ ციდან ვარსკვლავებს, გუნდმა ბოლო დროს თამაშის ხარისხი გაუმჯობესა — ჩემპიონატშიც და თასების თასის გათამაშებაშიც, ჯერ „ლინფილდთან“, შემდეგ კი „ბრიუგესთან“.

— შეგეძლოთ „ბრიუგესთან“ მოგება?

— როგორ არა. პირველ შეხვედრაში ბელგიაში დასანანი გოლი გავუშვით 87-ე წუთზე, თანაც თამაშგარედან. თამაშის შემდეგ ვიდეოზე მრავალჯერ ნანახმა დაგვარწმუნა ამაში. დონეცკში კი ბევრი საგოლე მომენტი ვერ გამოვიყენეთ. პირველი გოლიც ბელგიელებმა გაგვიტანეს. მართალია, ანგარიში გავთანაბრეთ, მაგრამ მეტი ვერ შევძელით. თანაც იმ დღეს ბედი აშკარად სტუმრებს სწყალობდათ.

— „შახტიორსა“ და „ტემპს“ შორის, ცხადია, დიდი სხვაობაა...

— რა თქმა უნდა, დონეცკში უფრო კვალიფიციური მოთამაშეები არიან, სათამაშო და მოსამზადებელი პირობებიც გაცილებით უკეთესია, ასევე ანაზღაურებაც — შედარებაც არ არის. რაც მთავარია, „შახტიორს“ და „ტემპს“ სულ სხვადასხვა მიზნები ჰქონდათ სეზონის წინ — პირველი ევროპულ ტურნირებზე გასასვლელად იბრძოდა, მეორე — ჯგუფში დასარჩენად.

— როგორ იმოქმედა ცვლილებებმა?

— გუნდს, მის „სტილსა და მოთამაშეებს ნორმალურად შევეწყვე. „ტემპში“ უფრო მიჭირდა თამაში, რადგან იქ მარტო ჩემი მოვალეობის შესრულება არ მიწევდა — ხან ნახევარდაცვას ვეხმარებოდი. ხანაც თავდასხმას. დონეცკში კი მხოლოდ ჩემს საქმეს ვაკეთებ, რადგან უფრო მაღალი დონის გუნდია.

— ერთ-ერთ ბოლო ტურში გოლიც გაგიტანია...

— ის თამაში 3:0 მოვიგეთ. საერთოდ, უკრაინის ჩემპიონატში სულ ოთხი ბურთი მაქვს გატანილი, ორიც თასზე. ასე რომ, გოლების გატანა არც ისე უცხოა ჩემთვის.

— სხვა გუნდებში თუ გიწვევენ?

— სეზონის წინ კიევის „დინამოს“ ხელმძღვანელობას ვესაუბრე, თუმცა ბოლოს მაინც „შახტიორში“ აღმოვჩნდი „ტემპისა“და ჩემი პირადი ინტერესების დამთხვევის გამო.

— დონეცკში უკეთესი პირობები შემოგთავაზეს?

— დღემდე ვერ გავიგე, რა უნდოდათ კიეველებს და რა პირობებს მთავაზობდნენ, დონეცკელებმა კი კონკრეტული პირობები შემომთავაზეს და დღემდე კეთილსინდისიერად მისრულებენ.

— სხვა გუნდებში მოთამაშე ქართველები როგორ გამოდიან?

— დიმიტრიაშვილი და კვიტაკიანი ჯუღელის ახლანდელ გუნდში — „ზარია-მალსში“ არიან. მიუხედავად ამ გუნდის ცუდი თამაშისა, ისინი გამოირჩევიან და გოლებიც გაქვთ. ფოცხვერიაც კარგად თამაშობს და ხშირად გაქვს გოლები.

— ვინ არის ფოცხვერია? ასეთი გვარი საქართველოს ჩემპიონატიდან არ მახსოვს.

— ფოცხვერია ლუგანსკში დაბადებული ქართველია და ზაპოროჟიეს „მეტალურგში თამაშობს, თანაც ძალიან კარგად. ოცი წლისაა და საკმაოდ პერსპექტიული ბიჭია. როგორც ვიცი, მისით უკრაინის სკრების ხელმძღვანელობა დაინტერესდა.

— ჩაწყობილი თამაშები თუ არის?

— კონკრეტულად ვერ ვიტყვი, მაგრამ ზოგჯერ ისეთი თამაშებია, უნებურად დაგეეჭვებს, განსაკუთრებით კი ჩემპიონატის ბოლოს.

— კიევის „დინამოს“ დისკვალიფიკაციაზე როგორი გამოხმაურებაა უკრაინაში?

— ეს ამბავი მოწეწილია ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა. ამბობენ, კიეველებს ეს მოუწყესო. მე ვერაფერს ვიტყვი. სინამდვილეში რაც მოხდა, ეს მხოლოდ ვიწრო წრემ იცის, თუმცა ერთი უნდა ვთქვა: მომხდარით ყველაზე მეტად კიევის „დინამოს“ ფეხბურთელები დაისაჯნენ. ვერავინ დამაჯერებს, თითქოს მათ მსაჯის დახმარებით დაამარცხეს ან დანიელები, ან ბერძნები, თითოეული მოგება მათ ღირსეული თამაშით დაიმსახურეს. წარმოგიდგენიათ, რამხელა ტრავმაა ფეხბურთელისათვის მისი გუნდის ორი წლით ჰაერში გამოკიდება?! თავად უკრაინის ფეხბურთის ფედერაციამ ჯერ თავი შეიკავა გუნდის დასჯისაგან, მათი აზრით, ჯერ კიდევ ყველაფერი გასარკვევია.

— ახლა ჩვენს ნაკრებზე ვისაუბროთ. რაც ეროვნულ გუნდში ხარ, სულ ორჯერ ითამაშე მარჯვენა ფლანგზე. ალბანელებთან — თბილისში და გერმანელებთან — ნიურნბერგში. ხომ არ გაგიძნელდა „მხარის შეცვლა“?

— ვერ ვიტყვი, რომ გამიჭირდა, რადგან ადრეც მითამაშია მარჯვენა მცველად.

— გერმანიასთან მატჩზე რას იტყოდი?

— ამ მატჩს ორ ნაწილად გავყოფდი. პირველში მოვახერეხთ ჩვენი დავალების შესრულება და მაღალ დონეზეც ვითამაშეთ, ჩვენი გოლის შემდეგ წარმატების განვითარებაც შეგვეძლო. მეორე ტაიმში კი ხშირად ვარღვევდით სათამაშო დისციპლინას და მათ შეტევებზე ვეღარ ვრეაგირებდით. ჩვენ მხოლოდ მოგების შემთხვევაში შეგვეძლო ინგლისში წასასვლელად ბრძოლა და ამიტომ შეტევებს დიდ დროს ვუთმობდით, მაგრამ არ გაგვიმართლა.

— სიმართლე გითხრა, დავიბენი და ვერ გავიგე, რას ნიშნავს ეს პირველი გოლის ფაქტორი. ადრე პატიოსნად ვიცოდი, პირველ გოლს თუ ჩვენ გავუშვებდით, მაშინ ჩვენი მოგება წარმოუდგენელი იყო. მაგრამ თუ ჩვენი პირველი გოლის შემდეგაც ჩვენ უნდა წაგვეგო, ეს უკვე აღარ ვიცოდი...

— ვერ ვიტყვი, რომ ჩვენზე პირველი გოლის ფაქტორი მოქმედებს. უბრალოდ, დასანანი გოლი გავუშვით პირველ ტაიმში და რომ არა ის გოლი, მეორე ტაიმში უფრო წარმატებით ვითამაშებდით.

— ხვალ ბულგარეთთან მოგიწევს თამაში. როგორი შანსები გვაქვს, შენი აზრით?

— ბულგარეთი რომ სერიოზული მეტოქეა, ამას ბევრი მტკიცება არ უნდა. მაგრამ მჯერა, რომ ამ დონის გუნდებთანაც შეიძლება მოგებაზე ფიქრი.

მერაბ მამულაშვილი



ტყუპები ძმისწულს ეალერსებიან

ტრაპიზონში

მესამე სეზონია, კიჭები „ტრაბზონსფორის“ ღირსებას იცავენ. თუ ადრე შუა სეზონში ჩავიდნენ და ლამის გასავარდნად განწირული გუნდი ჯერ მესამე პრიზიორი გახდეს, მერე — ვიცე-ჩემპიონი და თასის მფლობელი, ახლა სეზონისწინა მომზადებაც „ტრაბზონთან“ ერთად გაიარეს და გერმანიაში შეკრებაზე, „პანოვერთან“, ზაგრების „დინამოს“, „გალათასარაისთან“ და „ბეშიქთაშთან“ ათამდე გოლიც შეაგდეს. დასაწყისს კარგი პირი უნდა გამოსჩენოდა, მაგრამ სამი ტური ისე გავიდა, „აჩი-შოთას“ გვარი ტაბლოზე არ დაწერილა, მეტიც, სამიდან ორი მატჩი „ტრაბზონმა“ ფრედ 0:0 ითამაშა. მერე კი კიჭებმა აიწყვიტეს და ზედიზედ ზუთი თამაში მოიგეს: აჩიმ ორი გოლი „ბეშიქთაშს“ შეუგდო და შარშანდელი ჯავრი ამოიყარა, შოთამ კი, აწ უკვე ტრადიციულად, ლომის წილი დაიდო „ლომთალომის“ განდგურებაში (4:1) — ორჯერ შეარხია „გალათასარაის“ კარის ბადე. ამ მოგებით „ტრაბზონი“ ამ სამი წლის მანძილზე პირველად გადავიდა პირველ ადგილზე.

გერმანიაში ყველაფერი რიგზეა...

გიორგი ნემსაძის თამაში ყველას კარგად ახსოვს: რომელ გუნდშიც მივიდა, ყველგან ლიდერის ფუნქციები იტვირთა. ყველაფერი აქვს, რათა დიდი ფეხბურთი ითამაშოს — ასე იფასებენ მის თამაშს სპეციალისტები. გიორგისაც გულშემატკივართათვის არასდროს უმტყუნია. მეკარის გარდა, ამპლუა არ არის, სადაც ძალა არ მოესინჯოს და ყველგან წარმატებით. ასე იყო „შევარდენსა“ თუ „დინამოში“, ნაკრებში. მერე კი იყო ტრავმები: ჯერ უელსის ნაკრებთან — ქინქლაძის გოლის შემდეგ მინდორზე ტრადიციულად გასრიალდა და მხოლოდ ექიმების დახმარებით წამოდგა. მერე, თითქმის გამოჯანმრთელებულს ჰეპატიტი შეეყარა და ისევ მკურნალობამ მოუწია. მაინც ჩაამთავრა ჩემპიონატი და „დინამოს“ ჩემპიონობაში თავისი წვლილიც შეიტანა. ერთი სიტყვით, „ნემსომ“ ვალი მოიხადა, ბედის საძიებლად გერმანიას მიაშურა და იქაური რეგიონალური ლიგის „ჰომბურგში“ ჩაირიცხა, სხვათა შორის, ისევ ტრავმაგამიზეზებული. მერე კი ნიურნბერგში, გერმანელების წინააღმდეგ ვიხილეთ..

— ამდენი ტრავმისა და უიღბლობის შემდეგ ჩვეული ფორმა თუ აღიდგინე?

— მართლა ბევრი გამიცდა, ტრავმებმა ძალიან გამაწამა, მაგრამ ამჟამად სრულიად გამოჯანმრთელდი. ჯერჯერობით ჩვეულ ფორმაში მაინც ვერა ვარ, შეიძლება ითქვას, რომ ახლა შევდივარ.

— რომელ ადგილზეა „ჰომბურგი“ და მიზნად რას ისახავთ?

— გუნდში ნორმალური ვითარებაა. აქ ჩამოსვლამდე გაუთვალისწინებელი მარცხი ვიწვნიეთ ქალაქ მუსტერის გუნდთან ანგარიშით 2:1. ახლა მეხუთე ადგილზე ვართ, მაგრამ ლიგიდან გასვლის დიდი შანსი გვაქვს, მითუმეტეს რომ წელს ჩვენი ლიგიდან ორი გუნდი გადადის.

რაც „ჰომბურგში“ ჩავირიცხე, თამაში არ გამოშტაბვებია. მწვრთნელი მენდობა და ალბათ მეც ვუმართლებ, რადგან ჯერ არ შევუცვლივარ. ძირითადად საყრდენ ნახევარმცველად ვთამაშობ, ასე რომ, სამუშაო არ მაკლია, გოლი კი ორი გავიტანე — ერთი ჩემპიონატში, ერთიც თასის გთამაშებაში.

— შენი თანაგუნდელები რეზო არველაძე და ნიკა ჩხეიძე როგორ არიან?

— რეზოს ტრავმა ჰქონდა და ახლახანლა შეკეთა ჩვეულ ფორმაში, ძირითად შემადგენლობაშიც მყარად ზის. ხან ჩემს წინ, ეს იგი, თავდამსხვლელის უკან თამაშობს, ხანაც მარცხენა ნახევარმცველად. მოკლეულ, თავისი საქმე იცის და კარგადაც თამაშობს. რაც შეეხება ნიკას, თავიდან მისი საქმე მთლად კარგად ვერ აეწყო. მწვრთნელებს მასზე მცდარი ინფორმაცია ჰქონდათ, ძირითადში არ აყენებდნენ, ნიკაც თავის შანსს ელოდა, მიეცა კიდეც და გამოცდა ბრწყინვალედ ჩაბარა — ძირითად მეკარეს მხარი ამოუარდა, მწვრთნელები იძულებულნი გახდნენ ნიკა დაეყენებინათ და მანაც ყველა განაცვიფრა. ექვსი თამაშია, ჩადგა და, სხვისი რა გითხრა, თავად მე ვერ ვცნობ, პირდაპირ დაფრინავს კაცი. ამის შემხედვარე მწვრთნელი გადაირია, ეს ვინ მყოლიაო გუნდში და გაზეთებში ნიკას სულ ბოდიშები უხდა — თავიდან რომ ძირითადში არ ვაყენებდით, ჩემი დიდი შეცდომააო. ნიკა ზოგჯერ შეუძლებელს აკეთებს, ხანდახან სამ, ოთხ აუღებელ ბურთს იგერიებს.

— თასის გთამაშების მეოთხედფინალში ვის შეხვდით.

— მეოთხედფინალში მეტოქედ ბუნდესლიგის „კაიზერსლაუტერნი“ გვერგო. მასპინძლები ჩვენ ვიქნებით. აქ ასეთი წესია — თუ თასის გთამაშებაში ბუნდესლიგს გუნდი უფრო დაბალი ლიგისას ეთამაშება, აუცილებლად სტუმრად უნდა ეწვიოს. ასე რომ, დიდი ბრძოლა და საინტერესო თამაში მოგველის.

— ხვალინდელ თამაშზე რას იტყვი?

— ძნელი თამაში იქნება. ბულგარელები ახლა დიდების მწვერვალზე იმყოფებიან და მაღალი კლასითაც გამოირჩევიან. ვერ იქნა და ვერ ვეღირსეთ უძლიერესი შეადგენლობით თამაშს. გაგიჭირდება, მაგრამ უკან არ დავიხევთ და ჩვენსას ვეცდებით, ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

— პირველ მატჩში გოლის გატანა შეგეძლო. ის მომენტი თუ გახსოვს?

— როგორ არა. ქეცბაიამ საუარიმოში ჩამოაწოდა, შოთიკო არველაძემ ბურთი თავით დამიგდო. ხელსაყრელ სიტუაციაში აღმოვჩნდი. იმ არეულობასა და ყვირილში, ცოტა არ იყოს, დავიბენი და ჩემგან მარჯვნივ მდგომი გოგიჩაიშვილი ვერ დავასწარ, ამიტომ კარში დავარტყი. კახა რომ დამენახა, აუცილებლად გადავწოდებდი, მაგრამ... მიხაილოვმა კი თითებით შეძლო ბურთის მოგერიება.

— ალბათ ისევ ლეჩკოვის წინააღმდეგ მოგიწევს თამაში...

— ლეჩკოვი იქნება, ბალკოვი თუ სხვა, ჩემთვის სულ ერთია. მე მხოლოდ ერთ რამ ვიცი — ისე უნდა ვითამაშო, რომ არ შევრცხვე. ვეცდები, მათ ტოლი არ დავუდო.

— გერმანიაში მოთამაშე ბულგარელები — ბალკოვი და ბორიმიროვი როგორ ფორმაში არიან?

— ორივე ბრწყინვალედ თამაშობს. ბალკოვს მარიო ბასლერთან ერთად საუკეთესოდ მიიჩნევენ. თითქმის ყველა თამაშში გოლი გაიქვს და ერთ საგოლე გადაცემასაც აკეთებს. ბორიმიროვის ძალა თავდგმოვცადე. მართალია, ახლახან მისი გუნდი „მიუნხენ 1860“ თასის გთამაშებიდან გამოვთიშეთ, მაგრამ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. თამაშის მერე მოედნიდან ხელგადახვეულები გამოვედით და ჩვენი ნაკრების პირველ შეხვედრას ვიჯონებდით. გავხუმრე, მალე მეორედაც მოგგებ-მეთქი. გასახდელში ჩასვლის წინ კი, გულშემატკივრებთან ტრადიციული მხარზე ხელის ტყაპუნისას, თავი საქართველოში მეგონა, იმდენი თანამემამულე ვნახე...

მამუკა კვანტალიანი

— რა შეიძლება ახლა თბილისელ გულშემატკივარს აფიქრებდეს — რა თქმა უნდა, — ბევრი რამ და... „მანჩესტერ სიტის“ წარუმატებლობა. „ქინქის“ გადამკიდეს, ჩვენებური ფანები რედაქციაში ხშირად გვირეკავენ, ლონდონიდან ახალდაბრუნებული ზურაბ მეძველია ხომ აიკლეს — გვითხარი ერთი, გიოს გუნდი რატომ ვერ იგებსო. ჩემი კოლეგაც მეათეულად უხსნის „სიტის“ სიხუსტის მიზეზს...

— სეზონი ნაკლულად დავიწყეთ, ოთხ თამაშში ოთხი ძირითადი თითამაშე გვაკლდა. როცა ისინიც შემოგვემატნენ და კვლავ წავაგეთ, ბოლმა ახლა სხვა ხერხს მიმართა: ჩვენი „ფარმ-კლუბიდან“ ოთხი ახალგაზრდა, 16-17 წლის ბიჭი გადმოიყვანა და ოთხი ასაკოვანი ამათ ნაცვლად იქით გაუშვა. როცა ამ ექსპერიმენტმა ვერ გაამართლა და ამ ახალბედებმა „არსენალთან“ ლამის იყო ტირილი დაიწყეს, ბოლმა „მანჩესტერ სიტის“ ძველი ტრადიციები გაიხსენა და... მთელი გუნდი მთელი დღით რესტორანში გვაქეიფა. თითო ფეხბურთელმა 20-20 გირვანქა დავდეთ და კარგად მოვულხინეთ. ღამე კი, ტრადიციულად, ლუდის ბარში გავატარეთ. მე ლუდი არ მიყვარს, თანაგუნდელები კი გაიჭყიპნენ. ჰოდა, მალე... 4:0 მოვიგეთ! ლუდი კი ჩვენებს ისე უყვართ, ზოგს „ბუდვაიზერა“ შეკარქვი.

— საქართველოში მუდამ გამარჯვებას დაჩვეული, ინგლისში ზედიზედ წაგებულმა მატჩებმა ფსიქოლოგიურად ხომ არ გაგტეხა?

— აღრე მართლაც ძალზე განვიცდიდი, ახლა მივეჩვიე. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ წაგებებს შევეგუე. უბრალოდ, მივხვდი, რომ ძალზე სუსტი გუნდი გვყავს და ძლიერებთან წაგებას ჩვეულებრივად უნდა შევხვდე. თანაც, ინგლისი საოცარი ქვეყანაა — რამდენი მატჩიც არ უნდა წააგო, თანაგუნდელებიც, მწვრთნელიც, გულშემატკივრებიც — ყველა გამხნევებს. გერმანიაში მსგავსი არაფერი იყო, წაგებისას კვირაობით ცხვირჩამოშვებულები იყვნენ. აქ კი 0:10-ს რომ აგებდე, გულშემატკივრები მაინც გქომაგობენ, მაინც მხარს გიჭერენ. ინგლისში გულშემატკივრებს საოცრად ესმით ფეხბურთი.

— ერევანში შმაიხელს ვუთხარი, 14 ოქტომბერს, როცა თქვენი „იუნაიტედი“ „სიტის“ შეხვდება, შენთვის დღემდე უცნობ ქვეყნას — საქართველოს კარგად გაიცნობ-მეთქი.

— გადაუჭარბებლად გეტყვი — ამ ორი გუნდის თამაშები ინგლისში „საუკუნის მატჩებად“ აღიქმება. „სიტი“ სულ რომ პრემიერ ლიგიდან გავარდეს, თუ „მანჩესტერ იუნაიტედს“ მოუგო, სამუდამოდ უკვდავყოფს სახელს. ხეირიანად ჩასულიც არ ვიყავი, როცა ამ მატჩზე ჩამომიგდეს სიტყვა. შარშანდელი თამაშებიც მანახეს, 0:5 და 0:3 წავაგეთ. ისე ეზიზღებათ ერთმანეთი ამ ორი გუნდის ფანებს, ხშირად ინგლისის ფეხბურთის ფედერაციაა ამათ მატჩს ცალკე დღეს მართავს ხოლმე, რათა უფრო მეტი ყურადღება დაუთმოს. ჩვენი სტადიონები ისეა დაშორებული, როგორც ჩვენი ეროვნული სტადიონი და დიღმის ბაზა. უნდა ვაზო, როცა ნახევარი სტადიონი „სიტის“ ქომაგებს უკავიათ, ნახევარი — „იუნაიტედისა“. აქედანვე ვემზადები იმ მატჩისთვის. მოკლედ, ბულგარელებთან თამაშის მერე სამ დღეში კიდევ ერთი „საუკუნის მატჩი“ მელის...

— „სიტის“ სისუსტის ძირითად მიზეზად რას დასახელებდი?

— ძალზე სუსტია დაცვის ხაზი. იმელი კარში თავს კი იკლავს, მაგრამ დაცვის სისუსტის გამო მატჩის დასაწყისშივე გოლს რომ გაუშვებ, როგორ გინდა, თამაში მოატრიალო...

— ერთხელ ბოლს მარჯვენა ფლანგზეც გადაუყვანიხარ...

— „ნიუკასლთან“ მართლაც ასე მოიქცა. იმწუთისაგან „დავდექი“. ბოლმაც, ჩემდა ბედად, გამომცალა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ, რაც იმ თამაშში ჟინოლამ და სხვებმა დღე გვაყარეს, ახლაც უსიამოვნოდ ვერძნობ თავს.

— ინგლისში საუკეთესო ლეგიონერად ვინ მიგაჩნია?

— უდაოდ იებოას. გულიტი და ჟინოლაც კარგად თამაშობენ. აი, ბერხკამპი კი ჯერ ვერ შეეწყო პრემიერ ლიგას, მაგრამ როგორც კი ჟურნალისტებმა მისი კრიტიკა დაიწყეს, უმალ შედეგიანად ათამაშდა.

— „სიტიში“ თუ გყავს საუკეთესო პარტნიორი?

— არა. მე ჩემი სტილი მაქვს. შოთამ და ყველაშვილმა იციან, მე რომ ბურთს მივიღებ, უმალ გახსნაზე უნდა იფიქრონ. იქ კი რატომღაც ამდენს ვერ ხვდებიან. თანაც, ინგლისში ოთხივე მცველი ერთ ხაზზე დგას, საკმარისია ოდნავ სწრაფი ფორვარდი, რომ მე მას უმალ მეკარესთან პირისპირ დავტოვებ, მაგრამ ჯერჯერობით ვერ მიგებენ. არადა, ჩვენს გუნდშია ნეილ ქუინი — თავით ჩინებულად მოთამაშე ირლანდიის ნაკრების წევრი, შარშან რომ 20 გოლი გაიტანა. საერთო ენა რომ გამოვნახოთ, ვინ იცის, „სიტის“ საქმეები წაღმა შემოვაბრუნოთ...

— ვლადიკავკაზში „ლიერპული“ ცოტდა, კერძო ბინა მოითხოვა და არც ფასმა 1600 გირვანქამ შეაშინა — ნახევარს თვითონ იხდის, ნახევარს — კლუბი.

— იმელთან თუ ახლობლობ?

— ჩვენ „შოთრემ ჰოლ ჰოტელში“ მეზობლად ვცხოვრობდით და საკმაოდ დავახლოვდით. ისე, უქმად რა გამაჩერებდა და გასართობად ასეთი ხერხი მოვიგონე:

ქინქი საუკუნის მატჩამდე

— ნიუკასლთან მარჯვენა ფლანგზეც გადაუყვანიხარ...

— „ნიუკასლთან“ მართლაც ასე მოიქცა. იმწუთისაგან „დავდექი“. ბოლმაც, ჩემდა ბედად, გამომცალა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ, რაც იმ თამაშში ჟინოლამ და სხვებმა დღე გვაყარეს, ახლაც უსიამოვნოდ ვერძნობ თავს.

— ინგლისში საუკეთესო ლეგიონერად ვინ მიგაჩნია?

— უდაოდ იებოას. გულიტი და ჟინოლაც კარგად თამაშობენ. აი, ბერხკამპი კი ჯერ ვერ შეეწყო პრემიერ ლიგას, მაგრამ როგორც კი ჟურნალისტებმა მისი კრიტიკა დაიწყეს, უმალ შედეგიანად ათამაშდა.

— „სიტიში“ თუ გყავს საუკეთესო პარტნიორი?

— არა. მე ჩემი სტილი მაქვს. შოთამ და ყველაშვილმა იციან, მე რომ ბურთს მივიღებ, უმალ გახსნაზე უნდა იფიქრონ. იქ კი რატომღაც ამდენს ვერ ხვდებიან. თანაც, ინგლისში ოთხივე მცველი ერთ ხაზზე დგას, საკმარისია ოდნავ სწრაფი ფორვარდი, რომ მე მას უმალ მეკარესთან პირისპირ დავტოვებ, მაგრამ ჯერჯერობით ვერ მიგებენ. არადა, ჩვენს გუნდშია ნეილ ქუინი — თავით ჩინებულად მოთამაშე ირლანდიის ნაკრების წევრი, შარშან რომ 20 გოლი გაიტანა. საერთო ენა რომ გამოვნახოთ, ვინ იცის, „სიტის“ საქმეები წაღმა შემოვაბრუნოთ...

— ვლადიკავკაზში „ლიერპული“ ცოტდა, კერძო ბინა მოითხოვა და არც ფასმა 1600 გირვანქამ შეაშინა — ნახევარს თვითონ იხდის, ნახევარს — კლუბი.

— იმელთან თუ ახლობლობ?

— ჩვენ „შოთრემ ჰოლ ჰოტელში“ მეზობლად ვცხოვრობდით და საკმაოდ დავახლოვდით. ისე, უქმად რა გამაჩერებდა და გასართობად ასეთი ხერხი მოვიგონე: მატჩებმა ფსიქოლოგიურად ხომ არ გაგტეხა?

— აღრე მართლაც ძალზე განვიცდიდი, ახლა მივეჩვიე. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ წაგებებს შევეგუე. უბრალოდ, მივხვდი, რომ ძალზე სუსტი გუნდი გვყავს და ძლიერებთან წაგებას ჩვეულებრივად უნდა შევხვდე. თანაც, ინგლისი საოცარი ქვეყანაა — რამდენი მატჩიც არ უნდა წააგო, თანაგუნდელებიც, მწვრთნელიც, გულშემატკივრებიც — ყველა გამხნევებს. გერმანიაში მსგავსი არაფერი იყო, წაგებისას კვირაობით ცხვირჩამოშვებულები იყვნენ. აქ კი 0:10-ს რომ აგებდე, გულშემატკივრები მაინც გქომაგობენ, მაინც მხარს გიჭერენ. ინგლისში გულშემატკივრებს საოცრად ესმით ფეხბურთი.

— ერევანში შმაიხელს ვუთხარი, 14 ოქტომბერს, როცა თქვენი „იუნაიტედი“ „სიტის“ შეხვდება, შენთვის დღემდე უცნობ ქვეყნას — საქართველოს კარგად გაიცნობ-მეთქი.

— გადაუჭარბებლად გეტყვი — ამ ორი გუნდის თამაშები ინგლისში „საუკუნის მატჩებად“ აღიქმება. „სიტი“ სულ რომ პრემიერ ლიგიდან გავარდეს, თუ „მანჩესტერ იუნაიტედს“ მოუგო, სამუდამოდ უკვდავყოფს სახელს. ხეირიანად ჩასულიც არ ვიყავი, როცა ამ მატჩზე ჩამომიგდეს სიტყვა. შარშანდელი თამაშებიც მანახეს, 0:5 და 0:3 წავაგეთ. ისე ეზიზღებათ ერთმანეთი ამ ორი გუნდის ფანებს, ხშირად ინგლისის ფეხბურთის ფედერაციაა ამათ მატჩს ცალკე დღეს მართავს ხოლმე, რათა უფრო მეტი ყურადღება დაუთმოს. ჩვენი სტადიონები ისეა დაშორებული, როგორც ჩვენი ეროვნული სტადიონი და დიღმის ბაზა. უნდა ვაზო, როცა ნახევარი სტადიონი „სიტის“ ქომაგებს უკავიათ, ნახევარი — „იუნაიტედისა“. აქედანვე ვემზადები იმ მატჩისთვის. მოკლედ, ბულგარელებთან თამაშის მერე სამ დღეში კიდევ ერთი „საუკუნის მატჩი“ მელის...

— „სიტის“ სისუსტის ძირითად მიზეზად რას დასახელებდი?

— ძალზე სუსტია დაცვის ხაზი. იმელი კარში თავს კი იკლავს, მაგრამ დაცვის სისუსტის გამო მატჩის დასაწყისშივე გოლს რომ გაუშვებ, როგორ გინდა, თამაში მოატრიალო...

— ერევანში შმაიხელს ვუთხარი, 14 ოქტომბერს, როცა თქვენი „იუნაიტედი“ „სიტის“ შეხვდება, შენთვის დღემდე უცნობ ქვეყნას — საქართველოს კარგად გაიცნობ-მეთქი.

— გადაუჭარბებლად გეტყვი — ამ ორი გუნდის თამაშები ინგლისში „საუკუნის მატჩებად“ აღიქმება. „სიტი“ სულ რომ პრემიერ ლიგიდან გავარდეს, თუ „მანჩესტერ იუნაიტედს“ მოუგო, სამუდამოდ უკვდავყოფს სახელს. ხეირიანად ჩასულიც არ ვიყავი, როცა ამ მატჩზე ჩამომიგდეს სიტყვა. შარშანდელი თამაშებიც მანახეს, 0:5 და 0:3 წავაგეთ. ისე ეზიზღებათ ერთმანეთი ამ ორი გუნდის ფანებს, ხშირად ინგლისის ფეხბურთის ფედერაციაა ამათ მატჩს ცალკე დღეს მართავს ხოლმე, რათა უფრო მეტი ყურადღება დაუთმოს. ჩვენი სტადიონები ისეა დაშორებული, როგორც ჩვენი ეროვნული სტადიონი და დიღმის ბაზა. უნდა ვაზო, როცა ნახევარი სტადიონი „სიტის“ ქომაგებს უკავიათ, ნახევარი — „იუნაიტედისა“. აქედანვე ვემზადები იმ მატჩისთვის. მოკლედ, ბულგარელებთან თამაშის მერე სამ დღეში კიდევ ერთი „საუკუნის მატჩი“ მელის...

— „სიტის“ სისუსტის ძირითად მიზეზად რას დასახელებდი?

— ძალზე სუსტია დაცვის ხაზი. იმელი კარში თავს კი იკლავს, მაგრამ დაცვის სისუსტის გამო მატჩის დასაწყისშივე გოლს რომ გაუშვებ, როგორ გინდა, თამაში მოატრიალო...

„გალათასარაის“ კუბო დადგეს

— თამაშის წინ ტრაპიზონში „გალათასარაის“ ტრადიციულ, წითელ-ყვითელ ფერებად შეღებილ კუბოს დაატარებდნენ, მერე, როცა მეოთხე გოლი გავიტანე, სტადიონზეც შეშოიტანეს და მინდორს წრე დარტყეს. 0:0-ზე აჩი საუარიმოში მოცელეს, პენალტის დასარტყმელად გავეშურე, მაგრამ ჰამიმ დამასწრო და ანგარიშიც გახსნა. მერე კი დაბომბეთ სტამბოლელები.

— წინა სეზონში თქვენმა მწვრთნელმა შენოლ გიუნეშმა ჩემთან საუბარში აჩი ცამდე აიყვანა ქებით: მაგისი დიდი იმედი მაქვსო, ძირითადს კი რატომღაც არ ანდობდა. წელს როგორღაა საქმე?

— შოთა: წელს აჩი ძირითადის წევრი გახდა და მეთერთმეტე ნომრიანი მაისურიც დაიბეგა. უკვე სამი გოლიც შეაგდო...

— შენ როგორღა გაქვს საქმეები?

— შოთა: მეც სამი გოლი გავიტანე. პირველ ადგილზე ბუთი ბურთით ფენერბაჰ ჩელი ზორვატი ბოლიჩია. აქედან სამი პენალტით გაიტანა. სეზონი წინაა, ვფიქრობ, მასაც გავუსწრებ და სხვებსაც. „გოლი პლუს პასი“ სისტემით რომ ვლინდებოდეს ბომბარდირი, მაშინ ვნახავდით...

— სეზონის წინა რა დაგეგმა კლუბის დირექტორატმა?

— არჩილი: რაღა თქმა უნდა, დუბლი. თუ ჩემპიონები გავხდით, ჩემპიონთა ლიგაში ვითამაშებთ. ამას კი, მოგეხსენებათ, რა მნიშვნელობას ანიჭებენ ევროპაში. კონკურენციას ზემოჩამოთვლილი გუნდების გარდა ბოლო დროს მომძლავრებული „ბურსასფორიც“ გაგვიწევს.

— თუ ჩემპიონები გახდით, გააგრძელებთ კონტრაქტს?

— შოთა: ჩემპიონთა ლიგა ყველა ფეხბურთელის ოცნებაა. ალბათ ერთი სეზონი კიდევ დავრჩებით. არის კიდევ ერთი გარემოება — „დინამოს“ ხელმძღვანელებს ასეთივე მიზნებისთვის კვლავაც სურთ„იმ“ „დინამოს“ შეკრება. იმ შემთხვევაში, თუ ბიჭებმა მოვილაპარაკეთ, არ არის გამორიცხული, კვლავაც თბილისს დავუბრუნდეთ.

— სხვა ევროპული კლუბები თუ გეტატყობინა?

— შოთა: ამასწინათ „ბეშიქთაშის“ გერმანელ მწვრთნელთან დუმთან ერთად გერმანიაში მოღვაწე რუსი მენეჯერი სტეპან მარუსინი გვეწვია. დაუმს უთქვამს, ესენი უკვე მზად არიან ინგლისსა თუ ბუნდესლიგაში სათამაშოდო. ჯერ კონკრეტულად არაფერზე გვილაპარაკია...

— რას ამბობენ თქვენი და „დეპორტივოს“ მომავალ ორთაბრძოლაზე?

— შოთა: ქალაქში უკვე მიაჩნიათ, რომ ძალიან ძლიერი გუნდი ჰყავთ და მოგების შანსებსაც თანაბრად აფასებენ.

— ბულგარეთთან რას ვიზამთ?

— შოთა: დასაკარგი არაფერი გვაქვს. ასეც მგონია, ბოლოსდაბოლს, ერთი თამაში მაინც ხომ უნდა გამოგვივიდეს დიდ გუნდთან, ცოტა ჩვენც ხომ უნდა გავიხაროთ და ხალხიც გავახაროთ. მოიფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი თამაშების წინ, დრია, ვირწუშნოთ ჩვენი ძალა. კახი ცხადაძეს ხშირად ვერეკავთ, უმძიმესი ტრავმა მოირჩინა, ორ თვეში ისევ კაპიტნის სამკლაური ეკეთება. „აინტრახტი“ უკვე ეხვწება, კონტრაქტი გავაგრძელოთო...

— დედათქვენის, ჭალბატონ. თამრიკოს „საქმოსნობის ამბავი“ შევიტყვე, თქვენ რომ პორის ჭარხანა „აშენეთ“ საქართველოში, ეგეც ვიცი. ახლა გავიგე, რაც კი ბენზინი შემოდის, ყველაში „წილი გიდევთ“...

— უკვე აღარ გვიკვირს მსგავსი ჭორები. სათვალავი აშერია, რამდენი დედა მყავს, რამდენი პორის ჭარხანა ავაშენეთ, ბენზინიც კი, აღარ ვიცი, რა ვთქვა... რა მეპორება ან მებენზინება, თუ ძმა ხარ, დაწერე, აჩი-შოთას საქმე მხოლოდ ფეხბურთია და ასეც იქნება კარიერის ბოლომდე...

— ჭემალ ჩიმაკაძე რატომ არ გახლავთ?

— შოთა: „გალათასარაისთან“ მოგების მერე აღარ გამოუშვეს, ხელებზე კოცნიდნენ. ორ დღეში ჩამოვა.

...მეორე დღეს, დიღმის ბაზაზე მათ სანახავად მისულს კიბეს უგუნებოდ, ლამის ცრემლმორეულნი დამხვდნენ. ჯემალ ჩიმაკაძე ტრაპიზონში საღ-სალამთი დავტოვეთ, ორი დღის წინ წამოსულა იქიდან ვაჟა ყვანიასთან ერთად, ზესტაფონთან ცუდად გამხდარა, ვაჟას ძლივს მოუბრუნებია და ახლაც რეანიმაციაში წევს. ლამისაა, გაგვიჟდეთო...

...დიღმის საავადმყოფოში მისულებს ბატონი ჯემალი არ გვანახეს — რეანიმაციაშია, სამ ლიტრამდე სისხლი დაკარგა. რომ მოიყვანეს, პულსი არ ესინჯებოდა. ახლა წნეკა უკვე იგრძნობა და ჟიჭერობთ, გადავარჩენთო — ესღა გვითხრეს ექიმებმა...

მამუკა კვარაცხელია

ახალგაზრდულს ბევრი დაკლდა

თუმცა, ამბობენ, მოგება შეიძლებოდა



მამია ჯიქია

დავით ჩალაძე

დიღომში, ეროვნული გუნდის მეზობლად, კალათბურთელთა ბაზაზე ახალგაზრდული ნაკრები დებანაკდა. ესენი, მტერს რომ არ უსურვებ, ისეთ დღეში არიან, რადგან წამყვან მოთამაშეთა დიდი ნაწილის გარეშე მოუწევთ ბულგარელებთან თამაში. ტრავმის შემდეგ მწყობრში ვერ ჩამდგარა გუნდის კაპიტანი გიორგი ანჩაბაძე და შეკრებაზე, ბუნებრივია, არც გამოუძახიათ. ეროვნულ ნაკრებში მიიწვიეს გიორგი ღუდუშაური და აჩიკო არველაძე, ტრავმირებულია ლევან ცქიტიშვილი, ზესტაფონში ფეხი დაიშავა გიორგი კიკნაძემ, ამირეჯიბის ნაკრებთან ემზადება ალექსანდრე იაშვილი, ბათუმელი მუჯირიც თავს შეუძლოდ გრძნობდა.ყოველივე ამას დემატება ვალტერ გუჩუას სერიოზული ტრავმა, რომელიც მან „მორკინალთან" პარასკევს გამართულ საკონტროლო შეხვედრისას მიიღო (თამაში ნაკრებმა 3:0 მოიგო, ბურთები გაიტანეს: დემეტრაძემ – ორი, ხომერიკმა). გუჩუას თამაშირით ორი კვირა მოუწევს სიარული. „გუჩუა ძალიან დაგვაკლდება" – დანანებით გვითხრა ნაკრების ერთ-ერთმა მწვრთნელმა ვახტანგ კოპალეიშვილმა. იმავე მატჩში წარბი დაიზიანა რუსთაველმა **დათო ჩალაძემ**, თუმცა, მადლობა ღმერთს, შესაშფოთებელი არაფერია და იგი მეორე დღეს ვარჯიშობდა.

— შეშინდა, რაიმე სერიოზული არ ყოფილიყო – მითხრა დათომ – თუმცა, ტყვეილად ენერვიულობდი.

— შენი აზრით, როგორი შანსები გაქვთ ბულგარელებთან?

— ვისაც ხოფაში უთამაშია, ამბობენ, მოგება შეიძლებაო. თანაც, სახელის ამბავიც არის, ამდენი წაგების შემდეგ უნდა მოვინდომოთ და იქნებ მოვიგოთ.

— თამაშის ბედს მარტო მონდომება ხომ არ წყვეტს?

— თუ მოვინდომებთ და ჩვენი შესაძლებლობები გამოვამეღავნეთ, რატომ ვერ მოვიგებთ? არც ბულგარელები წყვეტენ ცდას ვარსკვლავებს.

— წელს შარშანდელზე უკეთ თამაშობ, თუმცა ისიც საკთხავია, შესაძლებლობებს ბოლომდე ავლენ?

— მართალია – შარშანდელზე უკეთ გამომდის ყველაფერი. არც არის გასაკვირი, თამაშის საშუალება მომეცა. პრაქტიკა კი ფეხბურთელისთვის ბევრს ნიშნავს. თუმცა, ჯერ შესაძლებლობების მხოლოდ ორმოცდაათ პროცენტზე „ვკვდი" და სასურველი ფორმიდან ჯერ კიდევ შორს ვარ.

— საამისოდ რაზე გვირდება მუშაობა?

— უპირველესად, ფიზიკურ მომზადებასა და სისწრაფეზე. თუ ამას გავუმჯობესებ, ტექნიკის გამოვლენის მეტი საშუალება მომეცემა.

— შენი აზრით, შეუძლია წელს „მეტალურგს" სამეულში მოხვედრა?

— ჩვენი მიზანი რიმელიმე ევროთასზე თამაშია. საამისოდ ყველა მონდომებულია. ევროპელი თამაშებისთვის, რა თქმა უნდა, ჯერ მზად არ ვართ – არ ყოვს მაღალი კლასის ფეხბურთელები. მაგრამ გუნდი ახალგაზრდულია და გამოცდილების შეძენის კვალობაზე „მეტალურგი" საგრძნობლად გაძლიერდება. თუმცა, დღესაც კი საქართველოში ბევრი ვერ გვჯობებს...

თითქმის ერთი წელია, **მამუკა ჯიქია** თამაში არ გვინახავს. მოლდოველებთან შეხვედრის შემდეგ იგი ავსტრიის ქალაქ ლინცის „ლასკში" გადავიდა და მას შემდეგ ნაკრებში მხოლოდ ერთხელ, გერმანელებთან სტუმრად ითამაშა. სანამ მამუკას შევხვდებოდი, გავიგე, თითქოს მას ლინცის გუნდის ხელმძღვანელებთან უთანხმოება მოსვლია. საუბარიც ამ კითხვით დავიწყე:

— კონფლიქტზე საუბარი არასწორი იქნება – „ლინცერში" ახალი პრეზიდენტი მოვიდა და მისი შემოთავაზებული პირობები ჩემთვის მიუღებელია, ამიტომ ჯერ კონტრაქტისთვის ხელი არ მომიწერია, თუმცა, არც გუნდიდან წამოვხულვარ. საბოლოოდ ყველაფერი ერთ კვირაში გაირკვევა, როცა საბოლოოდ მოვილაპარაკებთ.

— შენ რა პირობებს უყენებ?

— ავსტრიისთვის განსაკუთრებულს არაფერს – მილიონებს არ ვითხოვ. მაგრამ, ხომ ვიცი, რისი მოთხოვნის უფლება გაქვს და რისი არა! მეც ვხედავ, რომ მაქვს ჩემი პირობების წაყენების უფლება. თუ არ დამთანხმდნენ, კარგად იყვნენ, დავიხურავ ქუდს და სხვა გუნდში წავალ. მითუმეტეს, რომ „ლინცერზე" უკეთეს გუნდში მიწვევენ?

— რომელში?

— ჯერ არ მინდა გამხელა, თუმცა, ის გუნდი ბოლო ხანს ავსტრიის კლუბებიდან ყველაზე უკეთ გამოდიოდა ევროპაში. თუ ესეც არ გამოვიდა, ესპანეთში გადავალ – II დივიზიონში მოსასპარეზე ვალენსიის გუნდში მიმიწვიეს. ყოველ შემთხვევაში ჯერ არაფერი გადამიწყვეტია.

— „ლინცერზე" გვითხარი ორიოდე სიტყვა...

— წელს გუნდი, ფაქტიურად, ხელახლა შეიქმნა. ახალი მწვრთნელი მოვიდა და, რომ მეგონა, მარტო საქართველოში იცოდნენ მწვრთნელებმა, ისე არ ყოფილა – ამანაც თავისი ხალხი მოიყვანა, თანაც შვიდი ერთად. ეს მწვრთნელი, გვარად კრონშტაინი, მოსვლის დღიდანვე გუნდის გაახალგაზრდავებას შეუდგა, მოსვლისთანავე მენდო და თამაშის საშუალებაც მომცა. მასთან საკმაოდ ნორმალური ურთიერთობა ჩამომიყალიბდა,როდესაც ჩემი პირობები წაკეყენე გუნდის ხელმძღვანელებს, იგი ჩემი „ლინცერში" დარჩენის მომხრე იყო და გუნდის პრეზიდენტს ჩემზე უთხრა – ეს კაცი მჭირდებაო.საკმაოდ ნორმალური მწვრთნელია, რაზეც შედეგიც მეტყველებს – შარშანდელი საშუალო გუნდი წელს ავსტრიის ჩემპიონატში მეორე ადგილზეა.

— უცხოელები თუ გყავთ?

— სულ ოთხნი ვართ, მე, ორი იუგოსლავიელი – დუსპარა და კარტალია, ყოფილი მინსკის დინამოელი მეტლიცკი.

— მახსოვს, იგი ძლიერი დარტყმით გამოირჩეოდა...

— დაბერდა საშა, ახალგაზრდული ჯანი და დარტყმის სიძლიერე დაკარგა.

— ვისთან ახლობლობ?

— ყველაზე კარგად იქაურ ბიჭებთან ვარ, ერთი მათგანი – პოპმაიერი ავსტრიის ნაკრების წევრია.

— რომელ პოზიციაზე გთამაშობენ?

— ჩემი მიწვევისას იცოდნენ, რომ გამთამაშებელი ვიყავი, მაგრამ ვარჯიშებზე მწვრთნელმა თვლასხმაშიც გამსინჯა. მოკეწონე და ხან თავდასხმაში მთამაშებს, ხანაც ნახევარდაცვაში.

— ძირითადში ხშირად გაყენებენ?

— ძირითადში მხოლოდ გასული სეზონის ბოლო ტურების მატჩებში გამომიყვანეს, მანამდე ძველ მწვრთნელთან კონფლიქტი მქონდა. ახალგაზრდებს თამაშის საშუალებას არ გვაძლევდა, ასაკოვან მოთამაშეებს აყენებდა ჩვენზე წინ.

— რატომ, არ გენდობოდათ?

— ზუსტად ვერ გეტყვი, თავისებური პრინციპები ჰქონდა. ახალი მწვრთნელი კი პირიქით, ჩვენ გვთამაშებს.

— ინტერტოტის თასზე თუ ითამაშე?

— იმ დროს გუნდში არ ვიყავი. საერთოდ, ავსტრიაში ამ გათამაშებას დიდი ინტერესი არც გამოუწვევია, გუნდები, ფაქტიურად, მეორე შემადგენლობებით თამაშობდნენ. ასევე იყო „ლინცერშიც".

— ახლახან ლიდერთან, „რაპიდთან" – სტუმრად ფრედ გითამაშია...

— რომ ვთქვა, თთანბარი თამაში იყო-მეთქი, მართალი არ ვიქნები. მთელი ოთხმოცდაათი წუთი უპირატესობას ისინი ფლობდნენ, მაგრამ „ლინცერს" ავსტრიაში ყველაზე ძლიერი დაცვა გამოარჩევს და მწვავე კონტრშეტევებიც ახასიათებს. უკვე მესამე წუთზე მასპინძლები კონტრშეტევაზე დავიჭირეთ და გოლი გავუტანეთ. ანგარიში პირველივე ტაიმში გაგვთანაბრეს, თუმცა, ამის მეტი ვერ შეძლეს.

— ჩემპიონატის დონეზე რას იტყვი?

— ყოველ თამაშში დიდი ბრძოლა ჩაღდება, იბრძვიან პირველიდან ბოლო წუთამდე და ჩაწყობილი თამაშები გამორიცხულია. ან კი ვის რაში სჭირდება?! თითქმის ყველა გუნდშია სამი-ოთხი უცხოელი, ძირითადად – იუგოსლავები. თავიდან, ჩასვლისთანავე ფიზიკურად ძალიან გამიჭირდა, თუმცა ტექნიკურად არავისზე ნაკლები არ ვიყავი. ახლა ეს პრობლემა მომეხსნა. ავსტრიაში საშუალო დონის ქართველი ფეხბურთელი რომ ჩამოვიდეს და ფიზიკურად მოღონიერდეს, საუკეთესოთაგანი გახდება.

— შენი აზრით, საქართველოშიც უპრიანი ხომ არ იქნებოდა ანალოგიური, ათგუნდიანი ჩემპიონატი?

— რა თქმა უნდა, არ გვაწყენდა, თუმცა გარკვეული დროის შემდეგ.

— და ბოლოს, რა შეგძინა ავსტრიაში გატარებულმა ერთმა წელმა?

— წმინდა სპორტული თვალსაზრისით, ვგრძნობ, რომ ფიზიკურად აშკარად მოვუმატე. ფიზიკის ხარჯზე ტექნიკაც ვითარდება. ეს ერთი. რაც შეეხება ცხოვრებისეულ მხარეს, დამოუკიდებლობას შევეჩვიე, გავიგე, როგორ ცხოვრობენ და თამაშობენ ევროპაში. ეს კი, თუ გინდა, რომ პროფესიონალად ჩამოყალიბდე, აუცილებელია.

მერაბ მამულაშვილი

დღეისათვის ახალგაზრდათა შესარჩევ ჯგუფებში ასეთი მდგომარეობაა:

I ჯგუფი

საფრანგეთი	8	5	2	1	22-3	17
რუმინეთი	8	4	3	1	17-7	15
პოლონეთი	8	4	2	2	15-14	14
ისრაელი	8	2	3	3	8-8	9
სლოვაკეთი	8	2	2	4	5-8	8
აზერბაიჯანი	8	1	0	7	4-30	3

II ჯგუფი

სომხეთი — ბელგია 1:2

ესპანეთი	8	6	2	0	22-5	20
ბელგია	9	5	3	1	24-10	18
დანია	8	4	1	3	22-14	13
მაკედონია	8	4	0	4	14-20	12
კვიპროსი	8	2	0	6	6-22	6
სომხეთი	9	1	0	8	9-26	3

III ჯგუფი

შვედეთი	7	4	1	2	8-4	13
უნგრეთი	6	4	1	1	8-5	13
თურქეთი	6	3	2	1	9-4	11
შვეიცარია	7	2	1	4	7-13	7
ისლანდია	6	0	1	5	4-12	1

IV ჯგუფი

ხორვატია — იტალია 2:2

იტალია	8	5	2	1	20-7	17
უკრაინა	8	5	2	1	18-10	17
ხორვატია	9	5	2	2	11-8	17
სლოვენია	8	5	1	2	15-5	16
ლიტვა	8	1	1	6	11-16	4
ესტონეთი	9	0	0	9	5-34	0

V ჯგუფი

ბელარუსი — ჩეხეთი 0:3

ნორვეგია	9	7	0	2	31-11	21
ჩეხეთი	9	6	2	1	29-9	20
პოლანდია	8	4	2	2	19-8	14
ბელარუსი	8	4	0	4	14-15	12
მალტა	8	1	1	6	3-22	4
ლუქსემბურგი	8	1	0	7	0-31	1

VI ჯგუფი

ამ ჯგუფში ჩრდილოეთ ირლანდიის ნაცვლად ინგლისი ასპარეზობს

ინგლისი	7	5	1	1	11-3	16
პორტუგალია	6	4	2	0	10-1	14
ავსტრია	6	2	1	3	4-8	7
ირლანდია	6	1	2	3	5-6	5
ესტონეთი	7	0	2	5	1-13	2

VII ჯგუფი

გერმანია — მოლდოვა 3:1

ბულგარეთი	6	4	2	0	9-2	14
გერმანია	6	4	1	1	10-4	13
უელსი	7	3	1	3	10-8	10
მოლდოვა	7	1	2	4	3-10	5
საქართველო	6	1	0	5	5-13	3

VIII ჯგუფი

შოტლანდია	7	6	0	1	15-4	18
ფინეთი	7	5	1	1	17-9	16
რუსეთი	6	3	1	2	14-5	10
საბერძნეთი	7	2	0	5	11-12	6
სან მარინო	7	0	0	7	1-28	0

ესპანეთი

VI ტურის მატჩი. ატლეტიკო — ესპანიოლი 2:1. VII ტური. ბატისი — ბარსელონა 1:5, ოვიედო — ვალენსია 0:1, რაიო ვალეკანო — სალამანკა 1:4, სარაგოსა — ტენერიფე 0:2, მურციდა — ალბასეტე 1:1, ვალიადოლიდი — სოსიედადი 3:0, ლა კორუნია — სანტანდერი 2:3, სელტა — ატლეტიკო 0:3, ესპანიოლი — სპორტინგი 0:0, ატლეტიკი — სევილია 1:1, რეალი — კომპოსტელა 2:1.

ატლეტიკო	7	6	1	0	17-2	19
ბარსელონა	7	5	2	0	18-5	17
ესპანიოლი	7	5	1	1	13-4	16
კომპოსტელა	7	4	1	2	8-3	13
ვალენსია	7	4	1	2	10-9	13
ატლეტიკი	7	3	3	1	9-5	12
ბეტისი	7	3	3	1	8-8	12
ხიხონი	7	3	2	2	11-9	11
ლა კორუნია	7	3	1	3	14-10	10
ალბასეტე	7	3	1	3	12-14	10
სარაგოსა	7	3	1	3	4-8	10
რეალი	7	2	2	3	14-12	8
ვალიადოლიდი	7	2	2	3	8-7	8
ტენერიფე	7	2	2	3	7-10	8
სოსიედადი	7	2	1	4	9-10	7
ოვიედო	7	2	1	4	6-9	7
სანტანდერი	7	2	1	4	8-17	7
სევილია	7	1	3	3	7-10	6
სალამანკა	7	1	2	4	5-8	5
სელტა	7	1	2	4	5-13	5
მურციდა	7	0	4	3	4-8	4
ვალეკანო	7	1	0	6	6-18	3

შოტლანდია

VII ტური. აბერდინი — რეინჯერსი 0:1, სელტიკი — პარტიკ თისლი 2:1, პიბერნიანი — ფალკირკი 2:1, კილმარნოკი — პართსი 0:1, მოზერველი — რეით როვერსი 0:2

რეინჯერსი	7	6	0	1	12-2	18
სელტიკი	7	5	1	1	12-6	16
პიბერნიანი	7	3	3	1	10-8	12
რეით როვერსი	7	4	0	3	10-9	12
აბერდინი	7	3	1	3	10-9	10
მოზერველი	7	1	4	2	7-7	7
პარტიკ თისლი	7	1	4	2	8-9	7
პართსი	7	1	2	4	9-15	5
ფალკირკი	7	1	2	4	5-10	5
კილმარნოკი	7	1	1	5	5-13	4

ავსტრია

XI ტური. შტურმი — ადმირა ვაკერი 0:0, ფორვარტსი — ოსტრია 0:0 რაპიდი — რიდი 4:1, ტიროლი — გრაცერი 1:1, ლინცერი — კაზინო 1:0

რაპიდი	11	8	2	1	22-8	26
შტურმი	11	6	1	4	22-13	19
ლინცერი	11	5	4	2	12-9	19
გრაცერი	11	5	3	3	20-14	18
ოსტრია	11	4	3	4	13-10	15
რიდი	11	4	3	4	18-20	15
კაზინო	11	4	3	4	14-16	15
ტიროლი	11	4	2	5	17-15	14
ადმირა ვაკერი	11	2	4	5	10-16	10
ფორვარტსი	11	0	1	10	4-27	1

იტალია

სერია B. VI ტური

აველინო — სალერნიტანა 1:0
კალგარეზი (63)
ბრეშია — ვენეცია 1:1
ნერი (9); პროვიტალი (40)
ჩეზენა — კიევო 4:2
ფაგო (12), ბიცერი (34), პუბნერი (65, 76); კოსატო (44), ჯენტილინი (89)
კოზენცა — ანკონა 2:0
ტატი (40), სინიორელი (77)
ჯენოა — ლუკეზე 2:1
რუოტოლო (25), ბარონკელი (66
საკუთარ კარში); რასტელი
პესკარა — რეჯანა 4:1
კარნევალე (40), სული (46), ჯამპაოლო (54,69); პაში (9)
პისტოიზე — ბოლონია 1:1
ფიორი (85); ჯბრეშიანი (34)
ვერონა — რეჯინა 1:1
ფიკადენტი (85); ალიეტი (21)
პერუჯა — პალერმო 0:0
ფ. ანდრია — ფოჯა 2:1

ჯენოა	7	4	2	1	15-7	14
ვერონა	7	4	2	1	10-4	14
ბოლონია	7	3	4	0	8-4	13
ბრეშია	7	3	3	1	10-7	12
სალერნიტანა	7	3	2	2	7-2	11
ჩეზენა	7	3	2	2	10-7	11
აველინო	7	3	2	2	7-6	11
პესკარა	7	2	3	2	9-8	9
პალერმო	7	1	6	0	5-4	9
ფოჯა	7	2	3	2	4-6	9
პისტოიზე	7	2	2	3	7-6	8
ფ.ანდრია	7	2	2	3	10-11	8
კოზენცა	7	2	2	3	7-9	8
კიევო	7	1	4	2	7-8	7
ლუკეზე	7	1	4	2	5-6	7
პერუჯა	7	1	4	2	4-6	7
ანკონა	7	2	1	4	8-12	7
რეჯინა	7	0	6	1	5-12	6
ვენეცია	7	1	2	4	3-9	5
რეჯანა	7	0	4	3	4-11	4

პორტუგალია

V ტურის გვიანი მატჩი: პორტუ — ბოავიშტა 1:0

VII ჯგუფი

ბულგარეთი 3:0 ალბანეთი

ბულგარეთი: მიხაილოვი, ივანოვი, ცვეტანოვი, იანკოვი, კირიაკოვი (ბორიმიროვი 86), კოსტადინოვი (სირაკოვი 85), სტოიჩკოვი, პეშევი, ბალაკოვი, ლეჩკოვი

ალბანეთი: სტრაკოშა, ზმიანი, მალკო, ჯუმბა, შულკუ, დემა, კუშტა, ბელაი, კოლა, რაკლი, აბაზი

წინა თვეს ალბანელებმა შინ ორი ქულა წართვეს მსოფლიოს ჩემპიონატის პრიზიორებს და, როგორც ჩანს, ამ ფორმ მათ ბულგარელთა კომპლექსი საბოლოოდ გაუქრა — სოფიის მაჯის დებიუტი სტუმართა უპირატესობით აღინიშნა. პირველი სახიფათო მომენტი სწორედ მიხაილოვის კართან შეიქმნა მე-13 წუთზე, მაგრამ მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა სოკოლ კუშტამ ისე უხეიროდ დარტყა, ბურთი ლამის აუტში (?!) გადავარდა. დარტყმა როგორი უნდა, ორ წუთში ლეჩკოვმა დაგვანახა: მალკო და ჯუმბა ერთი მოძრაობით მოატყუა და დაახლოებით 22 მეტრიდან ციციანი ბურთი ცხრიანში ჩაჯდა. სანამ სტუმრები ვიშვიშს მორჩებოდნენ, კოსტადინოვს ანგარიშის გაზრდა შეეძლო, მაგრამ სტრაკოშასთან ჭიდილი წაგო. 27-ე წუთზე მეკარესთან კიდევ ერთი პირისპირ გასვლა დარჩა გამოუყენებელი: მასპინძელთა ცენტრალურმა მცველებმა მორიგი შეცდომა დაუშვეს და ამჯერად ბელაი მიუშვეს მიხაილოვთან, მაგრამ ამ მომენტშიც ხელათმაბანიანმა ფეხბურთელმა იმარჯა. მეორე ტაიმის დასაწყისში სტუმრებმა კიდევ ერთხელ გაიბრძოლეს — რაკლის დარტყმა მიხაილოვმა კუთხურზე მოიგერია, მერე კი, გლაზგოელი ვატას არყოფნით დასუსტებულმა, ველარაფერი გაახერხეს, ჯგუფის ლიდერებმა კი მატჩის ბოლოს კიდევ ორი გოლი შეაგდეს. დამთავრებამდე ათი წუთით ადრე სტრაკოშას საჯარიმოს მარჯვენა კუთხეში მეკარე და სტოიჩკოვი შეხვდნენ ერთმანეთს. ბრისტომ წამით დაასწრო მეტოქეს, ვისი ფეხიდან ასხლეტილი ბურთი საჯარიმოს ხაზთან უპატრონოდ მდგომ კოსტადინოვს მიუვიდა. ამას დაცულ კარში გოლის გატანა არ უჭირს, ცარიელში ხომ სულ ღიღინით შეაგორა — 2:0. წუთი არ გასულა, ლეჩკოვმა კვლავ

«დიდი ოთხშაბათის» წინ

შაბათ-კვირას ევროპაში ხუთი შესარჩევი მატჩი გაიმართა

შეახსენა დამსწრეთ თავისი დრიბლინგის ამბავი, ამჯერად ალბანელთა დაცვის მარცხენა ფრთას მოუღო ბოლო და ვინაიდან დასარტყმელად პოზიცია მთლად ვერ გამოდგებოდა, პასი არჩია: კოსტადინოვს თავის დახვედრებლა დასჭირდა.

გერმანია 6:1 მოლდოვა

სტროუკერ (16, საკ. კარში), პელმერი (18), ზამერი (24, 72), მიოლერი (47, 61; რეპეტეა (82)

კვირას ლევერკუზენში მასპინძლებმა ჩვენზე უარესი დღე აყარეს მოლდოვას, ის კი არა და კლინსმანმა მატჩის ბოლოს პენალტი გაუფუჭა და ახლა თუ გერმანელებმა და ბულგარელებმა ქულები არ დაკარგეს, პირველი ადგილის ბედი 15 ნოემბერს მათ შეხვედრაში გადაწყდება.

ბულგარეთი	8	7	1	0	22-5	22
გერმანია	8	6	1	1	22-8	19
საქართველო	8	4	0	4	10-9	12
ალბანეთი	9	2	1	6	9-15	7
უელსი	8	2	1	5	7-16	7
მოლდოვა	9	2	0	7	8-25	6

ხვალ: საქართველო — ბულგარეთი, უელსი — გერმანია

II ჯგუფი

სომხეთი 0:2 ბელგია

ნილისი (28, 39)

ესპანეთი	8	7	1	0	21-3	22
დანია	8	5	2	1	15-7	17
ბელგია	9	4	2	3	16-12	14
მაკედონია	8	1	3	4	8-14	6
სომხეთი	9	1	2	6	4-14	5
კვიპროსი	8	1	2	5	4-18	5

ხვალ: დანია — ესპანეთი, კვიპროსი — მაკედონია

V ჯგუფი

ბელარუსი 0:2 ჩეხეთი

ფრიდეკი (25), ბერგერი (84)

იორდან ლეჩკოვმა ალბანეთთან კარგად ითამაშა

მინსკში დიდ ტერიტორიულ უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ, მაგრამ სტუმრებმა ითხი სახიფათო კონტრშეტევიდან ორ გოლად აქციეს და ინგლისის საგზური, ფაქტიურად, ჯიბეში ჩაიდეს, ვინაიდან ბოლო მატჩი შინ ლუქსემბურგთან აქვთ გასამართი.

ნორვეგია	9	6	2	1	17-4	20
ჩეხეთი	9	5	3	1	17-5	18
პოლანდია	8	4	2	2	16-5	14
ლუქსემბურგი	8	3	0	5	3-18	9
ბელარუსი	8	2	1	5	6-13	7
მალტა	8	0	2	6	2-16	2

ხვალ: მალტა — პოლანდია, ლუქსემბურგი — ბელარუსი

საკის ეს როგორ შეეშლება

IV ჯგუფი

ხორვატია 1:1 იტალია

ხორვატია: ლადიჩი, იურჩევიჩი (კოზნიკუ 46), მლადენოვიჩი, სტიმაჩი, იერკანი, პავლიჩიჩი, ასანოვიჩი, სტანიჩი, შუკერი, ბობანი, ბოკშიჩი.

იტალია: ბუჩი, ფერარა (ბენარივო 82), მალდინი, დი მატეო, აპოლონი, კოსტაკურტა, დი ლიეო, ალბერტინი, დელ პიერო (კრიპა 85), ძოლა (ტოლდო 10), რავანელი.

გოლები: შუკერი (49 პ); ალბერტინი (29)

გაფრთხილება: იურჩევიჩი, მლადენოვიჩი, მალდინი, დი მატეო, ტოლდო, პავლიჩიჩი, ბობანი

გაძევება: ბუჩი

ხორვატთა კაპიტანი, „მილანის“ ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე ზვონიმირ ბობანი თავისი ქვეყნის ჰიმნს ისეთი აღტაცებით და განცდით მღეროდა, რომ იმთავითვე ნთელი გახდა, სპლიტის სტადიონზე 40 ათასი გულშემატკივრის თანდასწრებით საინტერესო ბრძოლა იყო მოსალოდნელი. ამას თავად ქომაგთა ენთუზიაზმიც მოასწავებდა, სპლიტელებს მოედანი არგენტინულად, წვრილწვრილი ქაღალდებით მოეფინათ და ყიჟინასაც დიდძალ ენერგიას აღვებდნენ. ამასთან, თუ 21 გრადუს სითბოსაც გავითვალისწინებთ (თუმცა მეორე ტაიმში საშუალო სიძლიერის ქარი ამოვარდა), კარგი სანახაობისთვის მართლაც ყველა პირობა იყო. ასე მოხდა — გუნდებმა სწრაფი, აქტიური თამაში გააჩაღეს. სახიფათო მომენტები ერთიმეორეს ცვლიდა. ხორვატთა მარცხენა მცველმა იურჩევიჩმა, რომელიც შეტევაში საკმაოდ აქტიურობდა, თავის უშუალო მოვალეობას — დელ პიეროსა და უფრო იშვიათად რავანელისთან ბრძოლას — თავიდანვე უხეშობაც წააშველა და მეორე წუთზევე ყვითელი ბარათი იხილა. მეათე წუთზე მასპინძლებმა გრძელი პასით შუკერის მეკარესთან პირისპირ გაყვანა განიზრახეს, ბუჩიმ შენიშნა ხიფათი და საჯარიმოს გარეთ გამოვარდნა და მდგომარეობის იქ განმუხტვა გადაწყვიტა, მაგრამ ვერ მოზომა, ბურთი თავზე გადაევლო და იძულებული გახდა ხელით ეთამაშა. პოლანდიელმა მსაჯმა უილენბერგმა იტალიელთა მეკარეს წითელი ბარათი აუფრიალა. მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონთა მწვრთნელი არიგო საკი მეკარის გაძევებას შეჩვეულია და „ზეპირად“ იცის, ასეთ დროს რა უნდა მოიმოქმედოს. ახლაც, ისევე, როგორც 1994 წელს ამერიკაში, მსოფლიოს ჩემპიონატზე ნორვეგიელებთან მატჩში, „სკუადრა აძურას“ თავკაცმა გამთამაშებელი, შეათე ნომერი გამოიცვალა. შარშან ეს ბაჯო იყო — ახლა ჯანფრანკო ძოლა. მეორე მეკარე ტოლდო მოედანზე სწორედ პარმელის ნაცვლად შევიდა. ამის შემდეგ თავდასხმელების დელ პიეროსა და რავანელის საქმე მოემატათ. იტალიაში, მოგეხსენებათ, ფორვარდებს მეტოქისთვის ბურთის წართმევა ისედაც ეკალეთ, მაგრამ ძოლას გაყვანამ უფრო თვალნათლივ გვაჩვენა, თუ როგორ თამაშობს ცალკეულ ეპიზოდებში იტალიელი თავდამსხმელი განპირა მცველის ადგილზე საკუთარი კარის ძელთან.

ხორვატების ტაქტიკაში თვალშისაცემი იყო გრძელი და მეტად სახიფათო პასების სიუხვე. მთელი მატჩის განმავლობაში მასპინძლებმა იმდენი 40-50-მეტრიანი სახიფათო გადაცემა შეასრულეს, რომ მიღებისას და დარტყმისას დავორ შუკერს და ალან ბოკშიჩს მეტი სიზუსტე რომ გამოეჩინათ, იტალიელთა საქმე ცუდად წავიდოდა, მაგრამ კვირას ხორვატთა ამ ხრიკს გამართლება არ ეწერა. მათ ანგარიში მხოლოდ გაათანაბრეს, ისიც მეორე ტაიმში და ისიც პენალტით. მანამდე კი, მეკარის გაძევების 19 წუთის თავზე რავანელის წაქცევისთვის დანიშნული ჯარიმა დემეტრიო ალბერტინიმ დიდებული დარტყმით ლადიჩის კარის ცხრიანში მოათავსა. ზემოთ ნახსენები საპასუხო გოლი მასპინძლებმა მეორე ტაიმის მეოთხე წუთზე შეაგდეს. დავორ შუკერმა პენალტი თავისგან მარცხნივ დარტყა, ტოლდომ კი, რომლის მიერ მეტოქის წაქცევისთვისაც დაინიშნა თერთმეტმეტრიანი, საპირისპირო მხარეს მისცა რეაქცია. ანგარიში გათანაბრდა და თითქოს ვიღაცამ ჰიპნოზი გაუკეთაო, ორივე გუნდმა სიფრთხილეს უმატა, ტემპს უკლო და მანამდე დიდებული თამაში ჩვეულებრივ ბურთაობად აქცია. თუ რატომ, ამას ცხრილის და დარჩენილი თამაშებისთვის თვალის შევლებისთანავე ნახავთ.

ხორვატებს თავი უკვე ჭუდში აქვთ

ხორვატია	9	6	2	1	20-4	27
იტალია	8	5	2	1	13-5	17
ლიტვა	8	4	1	3	8-8	13
უკრაინა	8	4	1	3	8-9	13
სლოვენია	8	2	2	4	9-9	13
ესტონეთი	9	0	0	9	3-26	0

ხვალ: ლიტვა — ესტონეთი, სლოვენია — უკრაინა

11 ნოემბერი იტალია — უკრაინა; 15 ნოემბერი სლოვენია — ხორვატია, იტალია — ლიტვა.

პაპუნა კედია

ბულგარელი ფეხბურთელები ზაფხულივ და ჩილიბანოვი ორი წლით ჩამოაშორეს საერთაშორისო სარბიელს. საქმე ის გახლავთ, რომ „ალმსტადთან“ საპასუხო შეხვედრაში სოფიის „ლოკომოტივის“ მოთამაშეები მსაჯს აუხირდნენ, რასაც უეფას სანქციები მოჰყვა. ზემოხსენებულთა გარდა, კიდევ სამი სოფიელი დასაჯეს — ისინი ორ შეხვედრას გამოტოვებენ.

იტალიური ფეხბურთის გრანდი „მილანი“, მოგეხსენებათ, უეფას თასზე საფრანგეთის „სტრასბურგს“ შეხვდა. ჭირველი თამაში საფრანგეთში სამშაბათს, 17 ოქტომბერს გაიმართება, საპასუხო კი, ნაცვლად ორი კვირის შემდეგი სამშაბათისა, ხუთშაბათს, 2 ნოემბერს დანიშნეს.

გერმანიის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელეს დორტმუნდის „ბორუსიის“ მოთამაშე მათიას ზამერი. მიმომხილველები საგანგებოდ აღნიშნავენ იმ ფაქტს, რომ ზამერმა გამოკითხვაში აჯობა თვით იურგენ კლინსმანს. მესამე ადგილზე „ვერდერის“ მარიო ბასლერი გავიდა. მათიას ზამერი პირველი აღმოსავლეთგერმანელია, რომელიც საპატიო ტიტულს დაეუფლა.

ჰოლანდიის „ფეიენოორდმა“ დაითხოვა მწვრთნელი ვილი ვან ჰანეგემი. მას თავიდან ცვლიდა ასისტენტი გერტ მაიერი, მაგრამ ახლა 1997 წლის 1 ივლისამდე წარსულში ცნობილი არი ჰაანი შეცვლის. სამი წლის განმავლობაში, რაც ვან ჰანეგემი გუნდს სათავეში ედგა, „ფეიენოორდმა“ ერთხელ ქვეყნის ჩემპიონის ტიტული და ორჯერ თასი მოიპოვა.

გერმანიის ნაკრების მრისხანე ფორვარდი იურგენ კლინსმანი დორტმუნდის „ბორუსიისა“ და მიუნხენის „ბაიერნის“ ამასწინანდელი მატჩის ერთ-ერთ ეპიზოდში დორტმუნდელთა მეკარეს შტეფან კლოსს შეეჯახა და გონება დაკარგა. ფეხბურთელი საავადმყოფოში გააქანეს, ეგონათ, თავის ქალის ფუძე გაუტყდა, მაგრამ, საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დამთავრდა.

საფრანგეთის ნაკრებს ხვალ რუმინეთში გადამწყვეტი მატჩი აქვს. მწვრთნელმა ემე ჯაკმა ამ შეხვედრისთვის არ მიიწვია ერიკ კანტონა, რომელსაც დისკვალიფიკაციის ვადა გაუვიდა და „მანჩესტერ იუნაიტედის“ შემადგენლობაში ინგლისის პრემიერლიგაში უკვე დაიწყო თამაში. ემე ჯაკის აზრით, იმ ხნის განმავლობაში, რაც კანტონა დისკვალიფიცირებული იყო, მოხმა გუნდმა პროგრესი განიცადა, უკეთ ათამაშდა და ახლა მანჩესტერელი ვარსკვლავის დაბრუნებამ შესაძლოა ცუდადაც იმოქმედოს. ფრანგების მწვრთნელმა ჟურნალისტებს განუცხადა, იმასაც ვერ გეტყვით დაზუსტებით, როდის მოვიწვევ კანტონას ან საერთოდ მოვიწვევ თუ არაო.

ფინეთში ჰელსინკის ოლიმპიურ სტადიონზე ამ ქვეყნის ნაკრებმა ამხანაგურ თამაშში უმასპინძლა თურქეთს — 0:0.

ესპანეთში „ბარსელონას“ ფეხბურთელს, გუნდის მწვრთნელის იოჰან კრუიფის ვაუს ხორდი კრუიფს მენისკის ოპერაცია გაუკეთეს.

ინგლისის პრემიერლიგის „მიდლსბრო“ ბრაზილიის „სან პაულუს“ 22 წლის ოსვალდო ჟირონლდო ჟუნიორში 7 მილიონ დოლარს სთავაზობდა, მაგრამ სამხრეთამერიკული კლუბი 10 მილიონს ითხოვდა და მოლაპარაკებები ჩიხში იყო შესული. „მიდლსბროსთან“ ერთად „სან პაულუს“ ინგლისის სხვა კლუბები — „ლიდს იუნაიტედი“, „ასტონ ვილა“ და „არსენალიც“ შეეხმიანენ, მაგრამ ეს ზეპირსიტყვიერების დონეზე იყო. დაჟინება მხოლოდ „მიდლსბროს“ მწვრთნელმა ბრაიან რობსონმა გამოიჩინა და შედეგსაც მიაღწია — გარიგება 8 მილიონ დოლარად შედგა. ოსვალდო ჟირონლდო ჟუნიორი, იგივე ჟუნინიო ბრაზილიის წლის საუკეთესო ფეხბურთელია. „მიდლსბრო“ კი გაძლიერებას აპირებს და ჩვენი ნაცნობის, გლაზგოს „სელტიკის“ მოთამაშეს კოლინზს ეპატიჟება. ბათუმის „დინამოსთან“ საპასუხო შეხვედრა კოლინზმა სწორედ იმიტომ გააცდინა, რომ ინგლისურ კლუბთან თავის საქმეებს არკვევდა.

იაპონიაში „ვერდი კავასაკი“ კაზუ მიურას ორი და მისი თანაგუნდელების კიდევ ორი გოლით 4:1 მოუგო „იოკოჰამა მარინოსს“ და ამ გუნდის რვა მატჩიანი მოგებების სერია შეაჩერა. „ვერდი კავასაკი“ 37 ქულით პირველ ადგილზეა, 33-ით მეორეზეა „შიმიცუ ეს პულსი“, მესამეზე — „ნაგოია გრამპუსი“, რომელსაც 30 ქულა აქვს.

მათიას ზამერი

არგენტინეს ჩემპიონატში კვლავ გამოჩნდა დისკვალიფიკაციამოხდილი დიეგო მარადონა. მისმა „ბოკა ხუნიორსმა“ 1:0 მოუგო „კოლონს“, ერთადერთი გოლი თამაშის მიწურულს გავიდა, როდესაც მაყურებლებმა შეატყვეს, რომ საქმე ზედზედ მეხუთე ფრესკენ მიდიოდა და სტვენა ატეხეს.

ფინეთის ჩემპიონი გახდა „ჰაკა“, რომელმაც ბოლო ტურში „მოუბას“ 3:0 მოუგო. თუმცა ჩემპიონატის დამთავრებამდე კიდევ ერთი ტურია, „ჰაკა“ ვეღარავინ დაეწევა. ეს გუნდი მეხუთედ გახდა უმაღლესი ეროვნული ტიტულის მფლობელი.

გერმანიის ნაკრებისა და „ვერდერის“ ფეხბურთელს მარიო ბასლერს იტალიის „მილანი“ ეპატიჟება. რა ბედი ეწევა მილანელთა ამ ახალ ახირებას, მომავალში გაირკვევა, ჯერჯერობით კი ის არის ცნობილი, რომ ბერლუსკონის კლუბი ბასლერს წლიურ მილიონ ორასი ათას შვეიცარიულ ფრანკს ჰპირდება.

ბრაზილიაში პელემ მოიგო ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციისა და გამომცემლობა „აბრილის“ წინააღმდეგ აღძრული საქმე. პელეს საჩივარი იმას ეფუძნებოდა, რომ 1988 წელს გამოცემულ ალბომში მისი სახელი და ფოტო დაუკითხავად გამოაქვეყნეს. სასამართლოს გადაწყვეტილებით, „ფეხბურთის მეფეს“ სამი მილიონი დოლარი ერგება.

პერუელმა მსაჯმა ფილიპე კომპინესმა ქვეყნის ერთ-ერთი რაინის პირველობაზე „სოსიალ სანტას“ სასარგებლოდ შეხვედრის ბოლო წუთზე დანიშნა პენალტი, რომელმაც ეს გუნდი ჩემპიონი გახადა. გაფეშეულმა გულშემატკივრებმა არბიტრს ქვები დააყარეს და ჩაქოლეს.

არგენტინელმა დიეგოლოგმა დანიელ სერინომ ქვეყნის ერთ-ერთ საინფორმაციო საგენტოს განუცხადა, რომ მარადონას ეფედრინის სანდალი და დისკვალიფიკაცია მისი ბრალია. სერინი გახლდათ დიეგოს დიეტოლოგი ამერიკის მსოფლიოს ჩემპიონატზე და, მისი თქმით, ინგლისურის არცოდნის გამოერთი წამალი მეორეში არია. ეს უბრალო, ადამიანური შეცდომა იყო — თქვა ექიმმა — დიეგოს ეს ესმის და არ მადანაშაულებს.

ჩილეს „უნივერსიდად კათოლიკას“ ნახევარმცველი რაიმუნდო ტუპერი, კოსტა რიკაში, სადაც გუნდი ტურნირზე იყო ჩასული, სასტუმროს მეცხრე სართულიდან გადახტა და თავი მოიკლა.

სარბიელი

ტოტალიზატორი "CROCO"

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

11 ოქტომბერი

რუმინეთი — საფრანგეთი	1,8	2,6	2,8
ისრაელი — აზერბაიჯანი	1,05	3,4	10,0
ისრაელი — აზერბაიჯანი (0:2)	1,6	4,0	2,4
სლოვაკეთი — პოლონეთი	2,0	2,5	2,5
დანია — ესპანეთი	1,7	2,7	3,0
კვიპროსი — მაკედონია	1,6	3,0	3,0
შვეიცარია — უნგრეთი	1,2	3,0	6,5
ისლანდია — თურქეთი	3,2	2,8	1,6
სლოვენია — უკრაინა	1,6	2,8	3,2
ლიტვა — ესტონეთი	1,1	3,2	8,0
ლიტვა — ესტონეთი (0:1)	1,5	3,8	2,8
მალტა — პოლანდია	8,0	3,2	1,1
მალტა — პოლანდია (2:0)	1,9	3,6	1,8
ლუქსემბურგი — ბელარუსი	2,7	2,7	1,8
ირლანდია — ლატვია	1,1	3,2	8,0
ავსტრია — პორტუგალია	1,8	2,7	2,7
ლიხტენშტეინი — ჩრდილოეთ ირლანდია	6,5	3,2	1,15
უელსი — გერმანია	4,0	3,0	1,4
საქართველო — ბულგარეთი	ანგარიში		- 4,0
სან მარინო — ფარერები	2,2	2,5	2,3
რუსეთი — საბერძნეთი	1,4	3,0	4,0

ფსონების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

თამაშის წესები

თამაშში მონაწილის მიზანია გამოიცნოს მატჩის ძირითადი დროის შედეგი. მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტი ყოველ შესაძლო შედეგზე. შედეგის გამოცნობის შემთხვევაში მიიღებთ თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია. ფსონები მიიღება მატჩის ანგარიშის გამოცნობაზეც (კოეფიციენტი — 4,0). ფსონის მინიმალური თანხაა — 20 თეთრი.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩზე ერთდროულად. თუ ფსონს ჩამოხვალთ რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, თქვენი კოეფიციენტი ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს შეადგენს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე).

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში და, შესაბამისად, მატჩის შედეგიც განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ერთი და იგივე მატჩის შეტანა ერთ ვარიანტში ორი სხვადასხვა სახით (მაგ: ლაციო — პარმა 1, და პარმა — ლაციო 2-1) არ შეიძლება, კოეფიციენტები არ გამრავლდება. კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზებისთვის: შედეგი — შედეგზე, თასის აღება — თასის აღებაზე და ა.შ.

თუ მატჩი ჩატარდა დანიშნულ თარიღზე ადრე, მატჩის ჩატარების შემდეგ ჩაბოსული ფსონები, მიუხედავად მასში აღნიშნული შედეგისა, დაბრუნდება უკან. ფსონები უქმდება მაშინაც, თუ მატჩი გადაიდო, შეიცვალა მასპინძელი გუნდი ან არ დამთავრდა (ჩაიშალა). თუ ასეთი მატჩები შეტანილია სხვა მატჩებთან ერთად ორ ვარიანტში, მაშინ ვარიანტი განიხილება ამ თამაშის გარეშე. თუ მატჩი დამთავრდა, მისი შედეგი დაფიქსირდა, შემდეგ კი იგი გაპროტესტდება და გადათამაშდება, მოგებები გაიცემა პირველი მატჩის შედეგის მიხედვით. თუ ფსონი დადებულია გუნდის შემდგომ ეტაპზე გასვლაზე და თამაშის შედეგად გუნდი გავა კიდევაც, შემდეგ კი რაიმე სანქციების გამო შემდეგ ეტაპზე გასულად სხვა გუნდი ჩაითვლება, მოგებები გაიცემა თამაშის შედეგად შემდეგ ეტაპზე გასულ გუნდზე. თუ ტურში არ ჩატარდება რომელიმე მატჩი, ფსონი კი დადებულია გატანილი გოლების რაოდენობაზე, მოგება გაიცემა ან ფსონი ნაგებულად ჩაითვლება, თუ ამ მატჩის შედეგი გავლენას ვეღარ ახდენს პროგნოზის გამოცნობაზე. სხვა შემთხვევაში ფსონი ბრუნდება უკან.

მოთამაშე პასუხისმგებელია ქვითრის სწორად შევსებისთვის. თუ ქვითრის ორი ნაწილი განსხვავებულად არის შევსებული, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ტოტალიზატორში ჩაბარებულ ნაწილს.

მოგებები გაიცემა და ფსონები უკან ბრუნდება ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ, ქვითრის გარეშე და არასწორად ან არასრულად შევსებულ ქვითრებზე მოგებები არ გაიცემა. თუ ქვითარში არ არის მითითებული თანხა, ფსონები ჩაითვლება მისი მინიმალური ოდენობით (20 თეთრი).

ფსონები მიიღება: სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს 13-დან 16 საათამდე სასტუმრო „აჭარის" ფოიეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22
1	ALBACETE BALOMPIE	■																3-2			4-2	4-0	
2	RCD ESPAÑOL BARCELONA	1-0	■										1-0				3-1						
3	FC BARCELONA			■						2-0		4-1											2-2
4	ATHLETIC DE BILBAO				■		2-1		0-2				4-0										
5	SD COMPOSTELA					■		4-0		1-0													1-0
6	SPORTING GIJON	3-0					■						4-2					3-1					
7	DEPORTIVO LA CORUÑA	5-0						■									2-0			3-0			
8	ATLETICO DE MADRID		2-1				2-0		■						4-1								
9	RAYO VALLECANO									■	1-5					1-2				3-2			
10	REAL MADRID CF			1-1	1-2						■	2-3											
11	REAL OVIEDO				0-0					2-0		■				0-1							
12	RACING SANTANDER								0-4				■					1-1				2-1	
13	REAL ZARAGOZA			0-3		1-0						1-0		■									
14	REAL SOCIEDAD		0-1				2-0	2-1							■								
15	REAL BETIS SEVILLA				0-0						0-0			3-1		■							
16	SALAMANCA													0-1			■				0-0	0-1	
17	SEVILLA FC														2-1			■		0-1			
18	CD TENERIFE		1-4					1-1	0-0-										■				1-0
19	VALENCIA CF										4-3			0-0						1-0	■		
20	REAL VALLADOLID			0-2		0-0														3-0		■	
21	RC CELTA VIGO					0-1									1-1					2-2			■
22	MERIDA															1-1	0-0				0-2		

		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18
1	ATALANTA BERGAMO	■								1-3		1-1	2-0						
2	AS BARI		■					1-0		1-1					3-3				
3	US CAGLIARI			■											0-1				0-0
4	US CREMONESE				■		0-0							0-1					
5	AC FIORENTINA			3-1	3-2	■										2:0			
6	SAMPDORIA			1-2			■					3-0		1-1					
7	AC MILAN	3-0						■									2-1		
8	INTER MILANO								■				0-0			4-0		1-0	
9	SSC NAPOLI								2-1	■	2-0								
10	AC PADOVA							1-2			■	1-3				1-1			
11	AC PARMA					3-0			2-1			■							
12	PIACENZA		3-2										■						0-4
13	AS ROMA	0-1						1-2						■	0-0				
14	LAZIO ROMA												4-1		■		2-2		
15	AC TORINO		3-1				1-1									■			
16	UDINESE			1-0	3-2												■	1-1	
17	VICENZA					1-0					2-1							■	
18	JUVENTUS TORINO				4-1					1-1								1-0	■

		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20
1	FC ARSENAL	■											1-1		1-1			4-2		1-0	
2	ASTON VILLA		■		1-0							3-1			1-1						2-0
3	BLACKBURN ROVERS		1-1	■			5-1					1-2				1-0					
4	BOLTON WONDERERS			2-1	■								1-1	1-3		0-1					
5	FC CHELSEA	1-0				■	2-2	0-0										3-0			
6	COVENTRY CITY	0-0	0-3				■				2-1				1-1						
7	FC EVERTON	0-2						■				2-3		1-3				2-0			
8	LEEDS UNITED		2-0						■	1-0						1-2	2-0				
9	FC LIVERPOOL			3-1	5-2					■						1-0	1-0				
10	MANCHESTER CITY	0-1						0-2			■		0-1						1-1		
11	MANCHESTER UNITED				3-0					2-2		■								2-1	3-1
12	MIDDLESBROUGH			2-0		2-0	2-1						■					0-0			
13	NEWCASTLE UNITED					2-0	3-0				3-1		1-0	■							
14	NOTTINGHAM FOREST					0-0		3-2			3-0				■					1-1	
15	QUEEN'S PARK RANGERS										1-0					■	0-3		2-3		0-3
16	SHEFFIELD WEDNESDAY			2-1								0-0		0-2			■		1-3		
17	FC SOUTHAMPTON							1-1						1-0	3-4			■		0-0	
18	TOTTENHAM HOTSPUR			0-1				2-1	1-3										■		3-1
19	WEST HAM UNITED					1-3		2-1	1-2										1-1	■	
20	FC WIMBLEDON				3-2			2-4	1-0								2-2				■

		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18
1	FORTUNA DUSSELDORF	■				2-2			2-2			1-1							1-0
2	SV WERDER BREMEN	1-1	■							1-1	1-0					2-0			
3	BORUSSIA DORTMUND			■						1-1				2-1	3-1			6-3	
4	FC ST. PAULI			0-3	■					1-2						4-2		1-3	
5	FC HANSA ROSTOCK			3-2	2-0	■							1-2	2-3					
6	EINTRACHT FRANKFURT			3-4			■			3-1	2-2					4-2			
7	SC FREIBURG		0-1		0-2		2-0	■									1-2		
8	HAMBURGER SV		3-3			1-1			■		0-0						1-1		
9	1. FC KAISERSLAUTERN									■		1-1		1-3	2-3			1-1	
10	KARLSRUHER SC	3-1				0-2					■	1-0			2-6				
11	1. FC KÖLN							1-1	3-2			■					0-1		0-0
12	BAYER 04 LEVERKUSEN		2-2	1-1	1-1		2-0						■						
13	BORUSSIA MÖNCHENGLADBACH				2-4		4-1	1-0					0-0	■					
14	FC BAYERN MÜNCHEN							2-0	3-2				1-0		■				2-0
15	TSV 1860 MÜNCHEN	2-1										2-1			0-2	■		1-1	
16	FC SCHALKE 04	1-1				1-3					2-1					1-1	■		
17	VfB STUTTGART							3-1					1-4	5-0				■	0-0
18	UERDINGEN		3-0				1-1		1-1								0-1		■

ქართველების ძნელი სვეტი

მერაბ ხაბაზი

უკვე ათწლეულებია, ჭაუხების ულამაზესი მასივი მთამსვლელთა ყურადღებას იპყრობს. საბჭოთა კავშირის დროიდან მოყოლებული, აქ უამრავი შეკრება მოწყობილა, აქაური მთები საკმაოდ რთული მარშრუტებით დაულაშქრავთ, დავით აღმაშენებლის კედლის გავლამ კი ქართულ ალპინიზმს სახელი გაუთქვა. და მაინც, მასივის აღმოსავლეთით, მწვერვალ ასათიანზე რჩებოდა ზელუხლებელი 300-350 მეტრიანი, სვეტად წოდებული კედელი. წლეულს, ივლისში ირაკლი ყღენტმა, ირაკლი უგულავამ და ზურაბ კუჭავამ „ასათიანის სვეტი“ წინასწარ შეისწავლეს, აგვისტოში კი კუჭავა და უგულავა მერაბ ხაბაზთან ერთად მარშრუტს შეეჭიდნენ. პირველ დღეს მხოლოდ 100-120 მეტრის გავლა მოხერხდა, რადგან კედლის დასაწყისი სხვა ცნობილ მარშრუტებზე ძნელად დასაძლევი აღმოჩნდა. სამეულს გამოღამება პატარა ბაქანზე ნახევრად მიწოლილებს მოუხდა. ძირითად სირთულის ალპინისტები მაინც მეორე დღეს წაწყდნენ — კედელს ასე, 200 მეტრის სიმაღლეზე სამი „კარნიზი“ ანუ სახურავივით გამოწეული ნაწილი ჰფარავდა. ყველაზე დიდი 3-4 მეტრიანი გამოდგა. მის თავზე თოკის დამაგრება მეოთხე დღესღა მოხერხდა. აქ ახალმა გასაჭირმა იჩინა თავი — წყაროები, ჯგუფმა დაზვერვის დროს რომ ჩაინიშნა, დამშრალიყვნენ და ეს დღეები სამეულს ორად ორმა ლიტრმა წყალმა გაატანინა. მეხუთე დღეს მთამსვლელებმა „კარნიზის“ თავზე მოქცეული რთული ვერტიკალური კედელი დაძლიეს და ღამე მის „სახურავზე“ გათენეს, მეექვსე დღეს კი მწვერვალზე ავიდნენ, საიდანაც საბაზო ბანაკში უხიფათოდ დაეშვნენ. „ასათიანის სვეტზე“ სრულყოფილი წარმოდგენისათვის აღვნიშნოთ, რომ თავისთავად 300 მეტრი დღეს დიდი მანძილად აღარ ითვლება, მაგრამ საკუთრივ მარშრუტის უკიდურესი სირთულის გათვალისწინებით ჯგუფის წევრებმა მას უმაღლესი, მეექვსე კატეგორია მიანიჭეს. თუ ამ შეფასებას სხვა სპეციალისტებიც გაიზიარებენ, მაშინ „სვეტი“ იქნება პირველი მეექვსე კატეგორიის პირველასული. ქართველებმა ბოლო ათწლეულში რომ განახორციელეს.

თბილისში ხანმოკლე დასვენების შემდეგ ჯგუფი სვანეთს გაეშურა და შხარაზე ქართული ალპინიზმის კლასიკურ მარშრუტს, ბექნუ ხერგიანისას შეეჭიდა. შხარა სხვა ტიპის მწვერვალია. აქ 2 კილომეტრზე მეტი სიმაღლის კედელზე ერთმანეთს რამდენჯერმე ცვლის კლდოვანი და თოვლ-ყინულოვანი 600-700 მეტრის სარტყელი. მესამე დღეს სამეული ყინულოვან ქედს მიადგა, მაგრამ აქ თავი შხარას მთავარმა ხიფათმა, ავდარმა იჩინა — დაიწყო თოვა, ამოვარდა ძლიერი ქარი. მეოთხე დღეს ამას ჭექა-ქუხილიც დამატა და კარვიდან გასვლაც შეუძლებელი აღმოჩნდა. ალიონზე ცა საოცრად მოიწმინდა და მთელი კავკასიონის ქედი გამოჩნდა. მთამსველელები მწვერვალზე ავიდნენ და ის-ის იყო, კარავს დუბრუნდნენ, რომ სტიქია კვლავ გახელდა. საჭმელ-სასმელგამოლეულ ალპინისტებს ავდარში დათვება მოუწიათ. ორდღიანი ამინდის ხელის შემდეგ, ღამე ჯეიმ სიფეხ უშველს მაღაღწია.

სამეულმა საგანგებოდ გვითხრა, „სარბიელის“ საშუალებით მადლობა შეგვთვალა სოფელ ჯუთაში გორდა არაბელისთვის, ყაზბეგში იაგო და მერი კაზალიკაშვილებისთვის, უშგულში დავით ხაჭვანისთვის, ცანაში გენური ნიკარაძისთვის, მელეში კი ზურაბ ჭელიძისა და ხვიჩა გვედეხიანის ოჯახებისთვის.

ვახტანგ იოსელიანი

ზ. ...ერიდან იალბუზიც მოჩანს, უშბაც და თეთნულდიც

ჩვენი და ნატოს სიყვარული

ბანქოს თამაშის ერთ-ერთი უპოპულარულესი სახეობა — ბრიჯი გასული საუკუნის მიწურულს მოიგონეს ბრიტანეთში, იმ დროს მეტად გავრცელებული „ვისტის“ საფუძველზე. ბრიჯი სადღეისოდ ყველა კონტინენტზეა პოპულარული და მას 200 მილიონი კაცი თამაშობს. ეს ისეთივე ინტელექტუალური თამაშია როგორც ჭადრაკი, შაში, რენჯიუ, დამყარებულია ინფორმაციის მუდმივ ანალიზზე და ანვითარებს წარმოსახვისა და გათვლის უნარს, ფანტაზიასა და ლოგიკურ აზროვნებას. ყველა ამ სასარგებლო თვისებების გამო რიგ ქვეყნებში ბრიჯს სკოლებსა და კოლეჯებში ასწავლიან, ხოლო ნატოს უმაღლეს აკადემიაში აუცილებელ საგნადაც ითვლება.

ბრიჯის გავრცელების ოქროს ხანა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ დადგა. ჩამოყალიბდა სპორტული ბრიჯის პრინციპები, თამაშისა, რომლის შედეგიც არანაირად არაა დამოკიდებული ბანქოს მოსვლაზე და, რადგან მეტოქეები თანაბარ პირობებში იმყოფებიან, ყოველთვის იმარჯვებს ის, ვინც მართლაც ობიექტურად უკეთ თამაშობს. 50-იანი წლებიდან მოყოლებული რეგულარულად ეწყობა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები, ოთხ წელიწადში ერთხელ კი — სპორტული ბრიჯის ოლიმპიადები.

არაერთი ბრწყინვალე მოთამაშის დასახელება შეიძლება, ვინც სიცოცხლეშივე ლეგენდად იქცა: იტალიელები ჯორჯო ბელადონა, პიეტრო ფორკეტი, ამერიკელები ბობი ვოლფი, ბილ ეიზენბერგი, ინგლისელები ტერენსი რიზი და პოლ სოლოვეი, ფრანგები ჯოზ დე დენტუ და პოლ შემლა, ბრაზილიელი ჩაგასი, ინდონეზიელი პატრიკ ხუანელი...

მეტად ძლიერ, მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშედ ითვლება ამერიკელი კინოვარსკვლავი ომარ შარიფი, ჩინებულად თამაშობს აგრეთვე ცნობილი მოჭადრაკე ირინა ლევინტინ.

წლეულს ბრიჯის აღიარების დროც მოვიდა — მონტე-კარლოში, სოკ-ის სხდომაზე ოლიმპიურ სახეობად სცნეს და გაისად ატლანტაში საჩვენებელი ტურნირიც გაიმართება.

ქართველთაგან ბრიჯს ერთ-ერთი პირველი დაეუფლა 30-იან წლებში გერმანიაში სასწავლებლად მყოფი დავით ვირსალაძე, რომელმაც იქ რამდენიმე ტურნირში იმარჯვა და მერე, სამშობლოში დაბრუნებულმა, ნათესავ-მეგობრებს შეასწავლა.

საბჭოთა კავშირში ბრიჯი აკრძალული იყო და სხვადასხვა ქალაქებში, მათ შორის თბილისშიც, მას 70-80-იან წლებში არალეგალურად თამაშობდნენ. მერე „პერესტროიკის“ წყალობით, ბრიჯშენები იატაკქვეშეთიდან გამოვიდნენ, 1990 წელს ჩვენი ეროვნული ფედერაციაც დაფუძნდა (1992 წლიდან ევროპის ფედერაციის წევრია) და საქართველოს ჩემპიონატებიც რეგულარულად ეწყობა.

საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე დიდი წარმატებით ასპარეზობდნენ ბორის ცხვარიაშვილი, მიხეილ ვირსალაძე, ძმები ზურაბ და გივი შათირიშვილი, გოგი ზედგენიძე, გოჩა ვაშაძე, ამირან კასრაძე. განსაკუთრებით უნდა გამოვყო აწგარდაცვლილ ნიკო ამირანაშვილის მიღწევები, რომელთა გამოც იგი წლების მანძილზე საბჭოთა კავშირის ბრიჯის ელიტაში შედიოდა.

ამ დღეებში თბილისის ჭადრაკის სასახლეში გამართული საქართველოს ღია ჩემპიონატი რიგით მეექვსე იყო. შეჯიბრებაში 19 წყვილი ჩება, რომელთაგან სამი სომხეთიდან იყო. ასპარეზობა ოთხ ტურად (27-27 დარიგება) ჩატარდა. საბოლოოდ, თუმცა კი მოულოდნელად, მაგრამ სავსებით დამსახურებულად, გაიმარჯვეს 23 წლის მათემატიკოსმა დავით მენაღარაშვილმა და 22 წლის ფიზიკოსმა გრიგოლ ღოღობერიძემ (240,14 ქულა). მათ საკმაოდ მაღალი შედეგიანობა აქვთ — საშუალოდ ყოველ ტურში ქულათა 60 პროცენტი. მეორე ადგილზე გავიდნენ 33 წლის ფსიქოლოგ-ფსიქოთერაპევტი გოჩა გოშაძე და 23 წლის მათემატიკოსი ამირან კასრაძე (234,9), მესამე იყო პროგრამისტ ვალენტინ ჯოჯუასა და მათემატიკოს ნუგზარ მახათაძის წყვილი (233,1)

ბორის ცოცხალაშვილი,
საქართველოს
ბრიჯის ფედერაციის
წევრი.

ინგლისური ენის
შესწავლის
მსურველებს

გინწვევთ ილონა დავიდოვას „ექსპრეს-მეთოდით“ შემსწავლელ სამთვიან კურსებზე. სწავლება მიმდინარეობს ლინგოფონური სისტემით.

ჩვენი მისამართია:
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მე-7 კორპუსი, მე-3 სართული, საგზაო-საავტომობილო ფაკულტეტის დეკანატი.

ტელეფონი:
36-00-94, 36-65-00, 93-36-71

საფეხბურთო ტოტალიზატორი
ლაპლას-ტოტო

მატჩების სია — ტირაჟი № 03

1	15.10	ატალანტა — ინტერი	იტ. ჩემპ.
2	15.10	ვიჩენცა — ბარი	იტ. ჩემპ.
3	15.10	მილანი — იუვენტუსი	იტ. ჩემპ.
4	15.10	ბარსელონა — ატლეტიკი	ესპ. ჩემპ.
5	15.10	ატლეტიკო — დეპორტივო	ესპ. ჩემპ.
6	15.10	კიოლნი — ლევერკუზენი	გერმ. ჩემპ.
7	15.10	შეფილდი — მიდლსბრო	ინგლ. ჩემპ.

№ 01 ტირაჟის შედეგები:

1. 1-1 2. 1-0 3. 0-0 4. 4-0 5. 1-1 6. 5-0 7. 1-0

მოგებები: ხუთი მატჩი — 23 ლარი (9 ვარიანტი), ექვსი მატჩი — 202 ლარი (1 ვარიანტი), შვიდი მატჩი — ვერავინ გამოიცნო. **JACK POT** — 252 ლარი გადადის შემდეგ ტირაჟში

ბილეთები იყიდება მეტროს სადგურებთან (ში). რეგისტრაციის ბოლო ვადაა 14 ოქტომბერი (ჩათვლით). ბილეთის (2 ვარიანტი) ფასი 30 თეთრი.

თამაშის წესები

1. ტოტალიზატორის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მოთამაშემ სწორად გამოიცნოს შემოთავაზებული ფუტბურთის მატჩების ანგარიშები (ძირითადი დრო).
2. მატჩებიის სია განისაზღვრება შვიდი მატჩით და ცხადდება ტირაჟის ანონსში.
3. როგორც წესი, ჩატარდება კვირაში ერთი ტირაჟი.
4. კონკრეტულ ტირაჟში მონაწილე ბილეთების რეგისტარცია წყდება წინასწარ გამოცხადებულ ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს ტირაჟში მონაწილე პირველი მატჩის ჩატარებისწინა დღისა.
5. როგორც წესი, მოგებისათვის აუცილებელია ხუთი, ექვსი ან შვიდი მატჩის ანგარიშის გამოცნობა. ინფორმაცია იმის შესახებ, თუ კონკრეტულ ტირაჟში რამდენი მატჩის ანგარიშის გამოცნობა უზრუნველყოფს მოგებას, ცხადდება ტირაჟის ანონსში.
6. მოგების ოდენობა განისაზღვრება შესაბამისი კატეგორიის საპრიზო ფონდის ფარდობით ამ კატეგორიის მოგებული ბილეთების რაოდენობასთან.
7. იმ შემთხვევაში, თუ შვიდი (ან ნაკლები) ანგარიში ვერავინ გამოიცნო ამ კატეგორიის (კატეგორიების) საპრიზო ფონდი გადადის და ემატება შემდეგი ტირაჟის საპრიზო ფონდს (**JACK-POT**).
8. მატჩების ნუმერაცია ბილეთში შევსებამება მატჩების ნუმერაციას ტირაჟის ანონსში.
9. ბილეთი შედგება ორი ნაწილისაგან, რომლებიც უნდა შეივსოს ერთნაირად. რეგისტრატორის მიერ დამონმებული ნაწილი **A** მიეცემა მოთამაშეს, ხოლო ნაწილი **B** რჩება რეგისტრატორთან. ბილეთების შევსებისას ყოველგვარი გადაკეთება და შესწორება დაუშვებელია. ამასთან, ბილეთებში შევსებული ანგარიშები უნდა ეწეროს მკაფიოდ, გამოკვეთილად და გასაგებად. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ციფრის წაკითხვა გამოიწვევს კამათს, შესაბამისი მატჩის ანგარიში ჩაითვლება არაგამოცნობილად. პასუხისმგებლობა ბილეთის სწორად შევსებაზე ეკისრება მოთამაშეს. არასწორად შევსებული ბილეთები (ვარიანტები) გათამაშებიდან მოიხსნება ღირებულების აუნაზღაურებლად.
10. იმ შემთხვევაში, თუ მატჩი არ ჩატარდა (გადაიდო ან სხვა მიზეზით), ან ჩაიშალა (არ დამთავრდა) ან შეიცვალა მასპინძელი გუნდი — მოთამაშეებს შესაბამისი მატჩის შედეგი ჩაეთვლებათ გამოცნობილად, მიუხედავად მითითებული ანგარიშისა. თუ ასეთი მატჩების რაოდენობა ერთ ტირაჟში გადააჭარბებს სამს, მაშინ თითოეული (ყველა) ზემოჩამოთვლილი კატეგორიის მატჩის ანგარიშად ჩაითვლება 0-0. იმ შემთხვევაში, თუ მატჩის შედეგი დაფიქსირდა — გაპროტესტება მხედველობაში არ მიიღება.
11. კონკრეტული ტირაჟის კონკრეტულ მატჩზე (მატჩებზე) შეიძლება გამოცხადდეს „გაყიდვა“. შესაბამისად, მოთამაშეს ეძლევა საშუალება ანგარიშის მითითების ნაცვლად „იყიდოს“ მატჩი, რის შედეგადაც ამ მატჩის ანგარიში ჩაითვლება გამოცნობილად. ერთ ტირაჟში „გაყიდული“ მატჩების რაოდენობა ვერ აღეატება სამს. ფასები გამოცხადდება ანონსში. მოთამაშე მატჩის „ყიდვის“ საფასურს გადაიხდის ბილეთის ჩაბარებისას, ხოლო ბილეთის შესაბამის უჯრებში ციფრების ნაცვლად ხაზავს ჯვრებს X.X.
12. მოგებები გაიცემა ტირაჟის ბოლო მატჩიდან ერთი თვის განმავლობაში მისამართზე: ხეთაგუროვის 3, მე-3 სართული, ფირმა „ესკიზი“.
ტელ: 95-21-40
13. მოგებები გაიცემა წარდგენილი **A** ნაწილის საფუძველზე, რომელზეც აუცილებლად უნდა იყოს რეგისტრატორის ხელმოწერა და რეგისტრაციის თარიღი.

მოკითხვა სოსლანისგან

„სპარტაკ“ — „ლივერპულის“ მატჩის დაწყებამდე გუნდები ის-ის იყო მოთელვაზე გამოვიდნენ და მეც „ყველანმავალი“ საშვით სარბენ ბილიკზე ვაპირებდი გაჭრას, რომ ბავშვობაში ჩვენს სპორტის სასახლეში ნანახ ბრგე ფიგურას მოვკარი თვალი. დიახ, რა თქმა უნდა, ეს სოსლან ანდიევი იყო — ოლიმპიური, მსოფლიოს, ევროპის და ვინ მოთვლის, კიდევ რისი ჩემპიონი არა. ვიცოდი, ამჟამად „სპარტაკის“ პრეზიდენტი რომ იყო, ჰოდა, ინტერვიუც საფეხბურთო-საჭიდაო გამოგვიკიდა...

— ასეთი მატჩის დაწყების წინ როგორ ვიპოვო ის სიტყვები, რომლებითაც გამოვხატავ მეგობრობასა და სიყვარულს ჩემსა და ლევან თედიაშვილს შორის. მე და ლევანი შეკრებებზე მუდამ ერთად ვცხოვრობდით, ერთად ვვარჯიშობდით. ლევანი ბევრჯერ დამხმარებია, მე კი მასთან შერცხვენილი ვარ — რიცა ყველაზე მეტად უჭირდა, მაშინ ვერ დავეხმარე, ვერ გავიზიარე მისი დიდი მწუხარება ვაჟიშვილის დაკარგვის გამო. მე ასე შერცხვენილი ვიქნები მანამ, სანამ ლევანთან არ ჩამოვალ და პატიებასთან ერთად ბევრ რამეში არ დავუდგები მხარში...

— ცივილურად გამოწყობილს მეორედ გხედავთ. პირველად ეს თბილისის სპორტის სასახლეში იყო 1981 წლის 1 თებერვალს, როდესაც თქვენ, ივან იარიგინი და ილია მატე თედიაშვილის დიდი სპორტიდან გასაცილებლად ჩამოხვედით.

— მატემ და იარიგინმა მხრებზე შეისვეს ლევანი, მე კი ზურგს ვუმაგრებდი, ასე გავაცილეთ თედიაშვილი თბილისელ გულშემატკივართა თვალწინ. მერე კი პირიქით მოხდა: როცა მე და ნოდარ მოდებაძეს გვაცილებდნენ, მათ აგვიტაცეს მხრებზე. მგონი, მათ უფრო გაუჭირდათ ჩვენი ზიდვა, რაკიღა გაცილებით მძიმეები ვიყავით.

— ერთ წონაში არასდროს გიჭიდავიათ და ერთად რატომ ვარჯიშობდით?

— მე მუდამ მძიმე წონაში ვჭიდაობდი, ლევანმა კი სამი წონა გამოიცვალა და ბოლი არცერთში ჰყავდა. ჩვენი ერთობლივი ვარჯიშები კი, მართალი გითხრათ, ჩემთვის უფრო სასარგებლო იყო — სად ვნახავდი ასეთ სპარინგ-პარტნიორს. ჩემთან ჭიდილი ლევანსაც რგებდა, რაკიღა მასზე მძიმესთან პაექრობა მერე მეტოქეებთან ჭიდაობას უადვილებდა.

— მთელი ცხოვრება ჭიდაობაში გაგიტარებიათ, ამიტომ გასაკვირია თქვენი აღმოჩენა „სპარტაკ-ალანიას“ პრეზიდენტის პოსტზე–

— ჭიდაობა სპორტის უნივერსალური სახეობაა. მოჭიდავე ფეხბურთსაც უნდა თამაშობდეს, კალათბურთსაც; ცურვასაც უნდა მიხდევდეს, სირბილსაც და ალპინიზმსაც. ყველა ეს სახეობა მოჭიდავეს მომზადებაში შველის. ჩვენ განსაკუთრებით დიდი სიამოვნებით ვთამაშობდით ფეხბურთს, მეგობარი ფეხბურთელებიც ბევრი მყავდა. ამიტომ, როცა „ალანიას“ პრეზიდენტობა შემომთავაზეს, ბევრი აღარ მიფიქრია...

— ათ წელზე მეტია, აღარ ჭიდაობთ. მემკვიდრეს თუ ზრდით?

— სამი ქალიშვილის შემდეგ როგორც იქნა ვაჟი შემეძინა. ახლა სამი წლისაა, გიორგი ჰქვია. ასე რომ, ჩემი მემკვიდრეც გამოჩნდა. მაგრამ, რაც ვაკვირდები, სულ ბურთისკენ მიუწევს გული და „ვშიშობ“, ფეხბურთელი არ გამოვიდეს.

— გიორგის ოსეთში ნაკლებად არქმევენ...

— წმინდა გიორგის სახელზე შეგვეძინა და მე და მეუღლემ გადავწყვიტეთ გიორგი დაგვერქმია...

— საქართველოში რას დამბარებთ?

— დიდ მოკითხვას. ის შავი ღრუბელი, ამ ისტორიულად მოძმე ხალხს რომ შუა გვიძევს, ალბათ მალე გადაიყრება. ჩვენ არა გვაქვს საუკუნეებით აშენებულის ნგრევის უფლება, კეთილი ვინებოთ და, ჩვენი მეგობრობა აღვადგინოთ. ახლო მომავალში ნონა გაფრინდაშვილს დავუკავშირდები და საერთო გეგმებს დავსახავთ.

— პირადად ლევანთან რას დამბარებთ?

— ჩემგან დიდი მოკითხვა გადაეცით და ის თავად მიხვდება, რომ მალე ვნახავთ ერთმანეთს.

— მოკითხვა, როგორც სპორტის მინისტრისგან თუ როგორც საფეხბურთო კლუბ „სპარტაკ-ალანიას“ პრეზიდენტისგან?

— არც ერთი და არც მეორე. უბრალოდ, გადაეცით, სოსლანმა მოგიკითხა-თქო.

მამუკა კვარაცხელია

რბოლა „ზრდილობის გულისთვის“



კვირას ბარსელონაში, „კატალუნიამონტჟელოს“ ავტოდრომზე, ევროპის დიდი პრიზის გათამაშებით დასრულდა მოტოსპორტში მსოფლიოს ჩემპიონატი.

სამივე კლასში ჩემპიონი ჯადამდე, წინა, არგენტინული ეტაპის შემდეგ გაირკვა, ასე რომ, ესპანეთის რბოლას მათთვის მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. ყველაზე მძლავრ, 500 კუბურ სანტიმეტრიან კლასში პირველობა ზედიზედ მეორედ მოიპოვა 30 წლის ავსტრალიელმა მაიკლ დუენმა („ჰონდა“). ბარსელონაში მისმა ესპანელმა თანაგუნდელმა ალექს კრივილმა იმარჯვა, მას მცირედ ჩამორჩნენ იაპონელი სინიჩი იტო და იტალიელი ლორის კაპიროსი. საბოლოოდ, დუენს 248 ქულა დაუგროვდა, მეორე ადგილზეა მისი თანამემამულე დარელ ბეითი („სუძუკი“) — 215, მესამეზე — იტალიელი ლუკა კადალორა („იამაპა“) — 176.

250 — იანთა კლასში ჩემპიონი გზდა იტალიელი მასიმილიანო ბიაჯი („აპრილია“), ხოლო 125-ში — იაპონელი ჰარუჩიკა აოკი („ჰონდა“).

ამქეთური, იქითური

შიდსის გამომწვევი ვირუსის მატარებელი მეჯოჯ ჯონსონი არ შეუშვეს ტოვენუ, სადაც მის საკალათბურთო შოუს ორი საჩვენებელი მატჩი უნდა ეთამაშა. მასპინძელმა ჯანდაცვის ხელისუფლებამ თავი იმართლეს, მართალია, ჯონსონის სტატუსი „ორივე მხრიდან“ სასარგებლო იქნებოდა, მაგრამ კანონი კანონია და ჯონსონი „ამინდკიდად“ რომ მოვიკითხოთ, „ბუნ სნა შიდსია“ უცხოელებისა მოწყდებიან ჩვენს ქვეყანასო.

*

დევისის თასის ქალთა ანალოგის — ფედერაციის თასის ფინალში აშშ სტუმრად, ვალენსიაში უნდა ეთამაშოს ესპანეთს. ამერიკელთა კაპიტანმა ბილი-ჯინ კინგმა გუნდის წინასწარ სიაში შეიყვანა დავენპორტი, ფრეიზერი, რუბინი, ორივე ფერნანდესი, აგრეთვე მარტინა ნავრატილოვა და მონიკა სელესი. სელესი წინათ იუგოსლავი იყო, აწ კი ამერიკის მოქალაქეა.

*

ჰეროდოტეს ცნობით, დაახლოებით 2500 წლის წინათ მავანმა სპარტელმა მაცნემ დღენახევარში ხუთი ქედი გადაირბინა, ათენს უწია და იქაურებს დროულად აცნობა, არიქა, სპარსები შემოგვესიენო. ამ გმირობისადმი პატივის მისაგებად საბერძნეთში 30 სექტემბერს უკვე მეცამეტედ გაიმართა ე.წ. სპარტათლონი — 246-კილომეტრიანი გარბენი, რომელშიც 190 კაცი და 22 ქალი ჩაება. ორგანიზატორებმა მოაწყვეს 75 საკონტროლო პუნქტი და 300 მოხალისე მსაჯი და რვა სასწრაფო დახმარების ეკიპაჟიც დარაზმეს. ხალხი თაიგულებს უშენდა მონაწილეებს და მცირე მანძილზე კიდეც ეკიდებოდა ხოლმე. გაიმარჯვა ბრიტანელმა ჯეიმზ ზარემ, რომელმაც გზა 25 საათში, 59 წუთსა და 42 წამში გალია და საათითა და 50 წუთით უკან მოიტოვა მეორე ადგილზე გასული ბერძენი. მარცხი შეემთხვა 54 წლის ბრიტანელ ბობ მედოკროფტს, ვისაც წლევანდელამდე გამართულ უკლებლივ ყველა სპარტათლონში მიეღწია ფინიშთან: მიზნამდე სულ რაღაც 24 კილომეტრი რომ რჩებოდა, ბებერ მორბენალს ფეხებმა უმტყუნეს.

*

ბარსელონას ოლიმპიადის ჩემპიონი, პორტუგალიელი მარათონელი ქალი როზა მოტა ამ ერთი კვირის წინ ქვეყნის პარლამენტში კი აირჩიეს, მაგრამ სოციალისტმა როზამ განაცხადა, დიდ პოლიტიკაში მონაწილეობა ხელს ვერ შემიშლის ატლანტაში ასპარეზობაშიო.

*

ამერიკაში, „ჩიკაგო ქაბზის“ კეტბურთის გუნდის მტყორცნელ რენდი მაიერსს ბოლოსწინა, მერვე შესვლის დროს საცემრად მოუხდა კლუბის მავანი გულშემატკივარი, აჭოდა შენი მოწოდებული ბურთით მეტოჭემ „ჭოუმ-რანი“ რატომ გაახერხაო. შარისთავი პოლიციამ ალაგმა, ჩიკაგოელებმა კი ჯერ ბოლო შესვლაში ანგარიში გაუყვიმეს, მერე კი დამატებით შესვლისას მატჩიც მოიგეს.

სამარანჩი პირმოთნეობს

ამ სამი კვირის წინ მსოფლიო სპორტის მეუფემ, სოკ-ის პრეზიდენტმა ხუან-ანტონიო სამარანჩმა მოიხილა საგაისო ოლიმპიადის მასპინძლის — ატლანტის ბაზები და ზოტბაც შეასხა. საპატიო სტუმარი ერთობ კმაყოფილი დარჩენილა მშენებარე 80-ათასიანი ოლიმპიური სტადიონით, მოსწონებია ოლიმპიური სოფელიცა და ბალახის ჰოკეის ასპარეზიც, სანიბოსნო არხის გამო კი უთქვამს, მსოფლიოში საუკეთესოაო.

ვიზისტი ატლანტისათვის ოლიმპიადის მასპინძლობის დაკისრების ხუთ წლისთავს მიეძღვნა. ცხიერმა სამარანჩმა იქნებ ამის გამოც შეაქო მასპინძლები, თორემ თავად სპორტსმენთა აზრით ბაზები სრულებითაც არ ყოფილა კარგი. ასე მაგალითად, ბალახის ჰოკეის სინთეტური მოედნები ისე ოღრო-ჩოღრო ყოფილა, რომ წინაოლიმპიური კვირეულის მონაწილე მავან ესპანელს სახეში მოხვდა მოედნიდან უკულმართად ასხლეტილი ბურთი და ყვრიმალი ჩუმტვრია, ფრანგ აფროსანთა მწვრთნელს კი მოსწრებულად შეუნიშნავს, შეჯიბრის ადგილზე წყალიცა და ქარიც მშვენიერია, სხვა ყველაფერი კი — საშინლად ცუდიი.

ნოდარ დუმბაძის სახელობის ბავშვთა ქალაქ „მზიურში“ გაიხსნა

საჩოგბურთო სკოლა «მ ზ ი უ რ ი»



სწავლებას უხელმძღვანელებს წარსულში ცნობილი ქართველი ჩოგბურთელი თეიმურაზ კაკულია. ბავშვებთან იმუშავებენ კვალიფიციური ინსტრუქტორები.

ცნობებისათვის მიმართეთ სკოლის ადმინისტრაციას (ჭავჭავაძის I ჩიხი, ბავშვთა ქალაქი „მზიური“, ჩოგბურთის კორტები).
ტელ.: 23-01-49

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობითა და პარასკევობით. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
სარედაქციო კოლეგია:
გია ახალაძე
ილია ბაბუნაშვილი
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
ზურაბ მეძველია
მერაბ რატიშვილი
მამუკა ჩიხლაძე
(ტექნიკური რედაქტორი)

კომერციული დირექტორი
გიორგი ოძრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29